ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 6 დეკემბერი 2001 №233 (1506) | ფასი 50 თეთრი

# ბარსელონა გადარჩა

## გუშინ სავიოლა რივალდო იყო

ლივერპულში დიდებული თამაშისა და გამარჯვების მერე ესპანურ „ბარსელონას“ გუშინ დიდი სირცხვილი ელოდა, „კამპ ნოუ ზე“ ნასტუმრებ თურქულ „გალათასარაისთან“ პირველი ტაიმი 0:2 წააგო. ასეთ დროს კატალონიელთა ბედის ბორბლის წალმა დამტრიალებელი ბრაზილიელი რივალდოა, გუშინ კი რივალდოობა უწვერულმა არგენტინელმა ხავიერ სავიოლამ იკისრა, მის მიერ გატანილმა ორმა ბურთმა „ბარსელონას“ ქულა და B ჯგუფის ლიდერობა შეუნარჩუნა. თუმც არც იმის უთქმელობა იქნება, სავიოლას მეორე გოლში ლომის წილი რივალდომ რომ დაიდო. ოვერმარსის ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი თურქთა მეკარის, მონდრაგონის ცხვირწინ მკერდით დაუგდო არგენტინელს და ამასაც გატანა აღარ გასჭირვებია.

„ენფილდზე“ შერცხვენილი „ლივერპული“ რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ შეეცადა შელახული თავმოყვარეობის აღდგენას, საამისოდ ფილ ტომპსონის ბიჭებმა ბევრი ოფლი ღვარეს, მაგრამ ვერც ფაბიო კაპელოს „რომაზე“ იტყვი, უჯიგრო გუნდიაო. ერთი სიტყვით, ჯაჯგური და ძიძგილაობა ბლომად იყო, გოლი კი მაინც ვერ იხილეს ქომაგებმა, სამაგიეროდ, ლეგენდარული „ბითლზის“ საამო ჰანგები ისმინეს, ოღონდ ეგაა, ამის მიზეზი ერთობ ნაღვლიანი გახლდათ: „ლივერპულური ოთხეულის“ ახლახან გარდაცვლილი წევრი ჯორჯ ჰარისონი.

მანჩესტერული მატჩის მერე შვებით ამოისუნქთავდა სერ ალექს ფერგიუსონი, ფაბიენ ბარტეზი საიმედოდ დარაჯობდა კარს, დაცვა-ნახევარდაცვაც რიგიანად ირჯებოდა, რუუდ ვან ნისტელროიმაც გასატანი გაიტანა, ლორან ბლანმაც უთავაზა პორტუგალიელებს და შედეგად A ჯგუფში პირველობა, მაგრამ მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით. მეორე „ბაიერნია“, რომელმაც პაულო სერჟიოს კინკილა გოლით ერთობ უსახურ მატჩში „ნანტი“ დაამარცხა სტუმრად.

ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი გუშინდელი მატჩებით დაგვემშვიდობა, ევროპის კლუბთა უპირველესი ტურნირი 19 თებერვლამდე ისვენებს.




REUTERS

მანჩესტერელი ლორან ბლანის მეორე გოლმა „ბოავიშტა“ გატეხა



REUTERS

სავიოლა რივალდოსა და კლუივერტის ხელში

# ჩემპიონთა ლიგა სეზონს სიმღერით დაემშვიდობა

# გახსოვდეს XX და ბითლზი!

## მობურთალი კერპები მომღერალ კერპს გამოეთხოვნენ



ფაბიო კაპელო და ფილ ტომპსონი 0:0-ზე გაიყარნენ



გუშინ რომში ვერც ემერსონმა (№11) ივარგა და ვერც მაიკლ ოუენმა



უბექემო „მანჩესტერმა“ „ბოავიშტას“ სამი ბურთი გაუტანა



ჯანფრანკო ძოლა და „ჩელსი“ კერძოდ „ჩარლტონს“ ვერ გადაახტნენ

# ჩემპიონთა ლიგა

## მეორე ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური. გუშინ

### A ჯგუფი

**ნანტი 0:1 ბაიერნი**

0:1 სერჯიო (65)

ნანტი: ლანდრო, არმანი, ფაბრი, ჟილე, ლასპალი, ბერსონი, დევინო (ოლემბე 59), ზიანი (ანდრე 80), და როშა, კუინტი, აპამადა (მოლდოვანი 63)

მწვრთნელი: რეინალდ დენიო

ბაიერნი: ვესელსი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, ნ. კოვაჩი, ჰარგრივსი (სფორცა 68), ფინკი, სერჯიო, იანკერი (ციკლერი 81), პიზარო (ელბერი 71)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: ნ. კოვაჩი, მოლდოვანი, რ. კოვაჩი, სერჯიო

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

35 000 მაყურებელი

**მანჩესტერი 3:0 ბოავიშტა**

1:0 ვან ნისტელროი (31), 2:0 ბლანი (55), 3:0 ვან ნისტელროი (62)

მანჩესტერი: ბარტეზი, ფ. ნევილი, გ. ნევილი (ოში 77), ბლანი, სილვესტრი, ვერონი, ბათი, კინი, სქოულზი (ფორჩუნი 85), იორკი, ვან ნისტელროი (სოლსკიაერი 88)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ბოავიშტა: რიკარდუ, ფრეშაუ, პაულუ ტურა, პედრუ ემანუელი, ერივენი, სანჩესი (პედრუ სანტუში 69), პეტი, ალეშანდრე, ჟორჟე სილვა (მარტელინიუ 60), ელპიდიუ სილვა (მარსიუ სანტუში 58), დუდა

მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ

გაფრთხილება: კინი, სქოულზი, პედრუ ემანუელი

მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

66 274 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბოავიშტა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ნანტი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |

### B ჯგუფი

**რომა 0:0 ლივერპული**

რომა: ანტონიოლი, კანდელა, ლიმა, ალდაირი, ძებინა, სამუელი, გიგუ (ასუნსაო 46), ტომაზი (გუზერი 79), ემერსონი, ტოტი, ბატისტუტა

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანშო, ჰიპია, რიისე, ჯერარდი (ბისკანი 84), მერფი (ბერგერი 61), ჰამანი, შმიცერი (მაკალისტერი 64), ოუენი, ჰესკი

მწვრთნელი: ფილ ტომპსონი

გაფრთხილება: ტომაზი

მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

57 819 მაყურებელი

**ბარსელონა 2:2 გალათასარაი**

0:1 უმით კარანი (5), 0:2 ფლურკინი (41), 1:2, 2:2 სავიოლა (49, 66)

ბარსელონა: ბონანო, პუიოლი, კრისტენვალი, ფ. ანდერსონი, კოკო, როჩემბაკი (ხერარდი 46), ხავი (ოვერმარსი 46), კოკუ, სავიოლა, რივალდო, კლუივერტი

მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი

გალათასარაი: მონდრაგონი, კაპონე, ემრე ასიქი, ჰაქან უნსალი, ბერესი, ბიულენთ ქორქმაზი, აიჰანი (სუატი 61), ერგუნი, ფლურკინი, ბიულენთ აკინი (სერგენი 85), უმით კარანი

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: აიჰანი, კოკუ, როჩემბაკი, ჰაქან უნსალი, ემრე ასიქი, უმით კარანი, ჰაქან უნსალი

გაძევება: კაპონე (62), ჰაქან უნსალი (90)

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

65 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| რომა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| გალათასარაი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

# ინგლისი

## პრემიერლიგა
## გადადებული მატჩები

**ჩელსი 0:1 ჩარლტონი**

0:1 ლისბი (89)

**ვესტ ჰემი 1:1 ასტონ ვილა**

0:1 დაბლინი (1), 1:1 დეფო (90)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

კალათბურთი

# ევროლიგა

## პირველი ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 5 დეკემბერი

### A ჯგუფი

ოლიმპიაკოსი 87:91 ბენეტონი

ალბა 99:87 შარლერუა

ზლიონსკი 58:63 უნიკახა

### B ჯგუფი

ბარსელონა 81:61 ოლიმპია

### D ჯგუფი

ვილერბანი 78:91 პარტიზანი

აეკ 72:69 ციბონა

ტაუ 112:84 ურალ გრეიტი

სკავოლინი 86:75 ოსტენდე

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური. C ჯგუფი

# დელ ბოსკე ესპანეთს დაემშვიდობა

**რეალი 3:0 პანათინაიკოსი**

1:0 ელგერა (41), 2:0, 3:0 რაული (66, 72)
**რეალი:** კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი (სოლარი 77), იერო (კარანკა 53), პავონი, ელგერა, სელადესი, ფიგუ, ზიდანი, რაული, მორიენტესი (მუნიტისი 86)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კირიაკოსი, ჰენრიკსენი, გუმასი, ფისასი, მიკაელსენი (კარაგუნისი 46), პაულუ სოუზა (ბოატენგი 46), ბასინასი, ოლისადებე, კონსტანტინუ (ვლაოვიჩი 70)
მწვრთნელი: იანის კირასტასი
გაფრთხილება: ფისასი, სეიტარიდისი
მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)
60 000 მაყურებელი

**ორი მატჩით** და ამდენივე მოგებით მადრიდის „რეალი" C ჯგუფში პირველ ადგილზე მყარად დამკვიდრდა და ახლა ვისენტე დელ ბოსკეს შეუძლია, მთელი ყურადღება ესპანეთის ჩემპიონატზე გადაიტანოს, რაკილა „სამეფო კლუბს", ევროთასებზე მონაწილე სხვა გუნდთა მსგავსად, ლიგაში თებერვლამდე აღარ უწევს თამაში. „რეალის" მორიგი მსხვერპლი კი „პანათინაიკოსი" გახდა. ბერძნები პირველ ტაიმში შეძლებისდაგვარად უმკლავდებოდნენ ესპანელებს, მაგრამ კლასმა მაინც თავისი ქნა და მასპინძლებმა 3:0 მოიგეს.

გარდამტეხი მომენტი კი 41-ე წუთზე დადგა, როცა ივან ელგერამ ფეხებს შორის გაუძვრინა ბურთი ბერძენთა კარის დარაჯ ანტონის ნიკოპოლიდისს და ანგარიში გახსნა.

„პანათინაიკოსის" მწვრთნელ იანის კირასტასს შესვენებაზე შეგირდები დაურიგებია, არ დაიბნეთ, მედგრად დადექით, ეგებ ერთი ბურთი მაინც გავიტანოთ და შინ ქულით დავბრუნდეთ, რასაც სამშობლოში გმირობად ჩაგვითვლიანო. მაგრამ მწვრთნელის ოცნებას ასრულება არ ეწერა, „რეალს" სხვა სურდა, მოგებით დაესრულებინა ლიგაში ეს წელიწადი, რომ ბერძნებს თავგამოდებამ ვერ უშველა.

66-ე წუთზე თავის ფლანგზე ჩვეულად აქტიურმა რობერტო კარლოსმა, საჯარიმოში მოახერხა ბურთის ჩაგდება. იქ კი რაულმა ყველას დაასწრო და ვარდნაში თავურით მეკარისგან დაუცველ კუთხეში შეაგდო.

„ოქროს ბიჭუნამ" ექვს წუთში ისევ წამოახტუნა ფეხზე „სანტიაგო ბერნაბეუზე" მისული 60 ათასი გულშემატკივარი, როცა ლუიშ ფიგუს ჩაწოდებულ საჯარიმოს ზუსტად და დროულად დაუხვედრა ცაცია და ანგარიში 3:0 გახადა.

„სამეფო კლუბმა" დარჩენილი დროც შეტევაში გალია, თუმცა მეტის გატანა ვეღარ მოახერხა. ის კი არა, საფინალო სასტვენამდე შვიდი წუთით ადრე კინაღამ საკუთარ კარში მიიღო ბურთი — დერეკ ბოატენგმა თავური დაარტყა და იკერ კასილიასმა, თითქმის მთელი თამაში უქმად რომ იყო, აკრობატულ ნახტომითღა შეძლო მოგერიება.

„დღეს სრულყოფილად ვითამაშეთ — თქვა ნამატჩევს მადრიდელთა დამრიგებელმა ვისენტე დელ ბოსკემ — მეტოქე პირველ ტაიმში გაგვიძალიანდა, მაგრამ მეორე ნახევარი მთლიანად ჩვენი იყო. ახლა ლიგისგან ცოტას დავისვენებთ და პრიმერადივიზიონს მივხედავთ. თებერვლიდან კი კვლავაც საინტერესო სალიგო თამაშები გველის".

**პორტუ 0:1 სპარტა**

0:1 სიონკო (74)
**პორტუ:** სანტუში, კარვალიუ, პარედესი, დეკო სოუზა, ანდრადე, სოდერსტრომი, იბარა (კანდიდუ კოშტა 75), ნუნუ კაპუშუ, კლეიტონი (პოსტიგა 73), მარიუ სილვა, პენა (პაულუ კოშტა 46)
მწვრთნელი: ოქტავიუ მაჩადუ
**სპარტა:** ჩეხი, ლაბანტი, პაშეკი (ზელენკა 90), ფლახბარტი, ირჟი ნოვოტნი, კინცლი, მიხალიკი, პარტიკი (გოლუბი 90), სიონკო (პაპუშეკი 81), პუბშმანი, იაროშიკი
მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი
გაფრთხილება: პუბშმანი, კინცლი
მსაჯი: ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)
30 000 მაყურებელი

**მასპინძლები** თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ბატონობდნენ მინდორზე, მაგრამ ბურთი ვერაფრით გაიტანეს. „სპარტამ" კი ერთ-ერთი იშვიათი შეტევა გოლით დაასრულა, 74-ე წუთზე ლიბორ სიონკოს თავით დარტყმული ბურთი პორტუელთა მეკარე სანტუშმა ხელში ვერ შეიმაგრა და საკუთარ კარში შეაგორა. ასე რომ, ჩეხებმა პორტუგალიიდან პაერივით საჭირო სამი ქულა წაიღეს.

„სპარტას" მოგება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ნამატჩევს მისმა მწვრთნელმა იაროსლავ ჰრებიკმა მხრები აიჩეჩა: „მოგებას არ ვიმსახურებდით. გაგვიმართლა, სამი ქულა რომ მივითვალეთ. მაგრამ ისიც ხომ საქმეა, „პორტუს" შეტევებს რომ გავუძელით და კარი მშრალად შევინახეთ".

„პორტუს" მწვრთნელის ოქტავიუ მაჩადუს კომენტარი კი ასეთი იყო: „უპირატესობას მთლიანად ჩვენ ვფლობდით, მაგრამ გოლად ვერ ვაქციეთ. მეტოქემ კი სამწუხაროდ, ერთადერთი შანსი გამოიყენა".

არადა, მასპინძლებს ოდნავ მაინც რომ გამართლებოდათ, ქულას მაინც აიღებდნენ — შეცვლაზე შესულმა ელდერ პოსტიგამ მაინცდამაინც ძელს დაუმიზნა ბურთი.

მატჩის შემდეგ „პორტუს" ყველა მოთამაშემ გაიზიარა მწვრთნელის აზრი, ჩეხებს გაუმართლათ, ჩვენ არაო. ჩეხების შეფასებებში კი ფარული ირონია შეიმჩნეოდა, კი, ბატონო, მასპინძლები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ რა ჩვენი ბრალია, გოლი რომ ვერ გაგვიტანეს. აი, ჩვენ, ერთხელ შევუტიეთ და ახლა სამი ქულით ვბრუნდებით შინო.

და ისევ ოქტავიუ მაჩადუ: „ეს ჩემპიონთა ლიგაა. ამგვარი რამ ხშირად მომხდარა და კიდევ ბევრჯერ მოხდება. ყურები არ უნდა ჩამოვყაროთ და დროებით მთელი ყურადღება შინაურ ჩემპიონატზე გადავიტანოთ. მერე კი, თებერვლიდან, კვლავ იმაზე ვიფიქროთ, ლიგაში წარმატებას როგორ მივაღწიოთ".

**ნიკა შუბლაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| სპარტა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| პორტუ | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| პანათინაიკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |



REUTERS

რეალი — პანათინაიკოსი. ანტონის ნიკოპოლიდისმა ფერნანდო მორიენტესს მაინც არ გაატანინა

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური. D ჯგუფი

# ჯადოქარმა კარგად იმუშავა

**არსენალი 3:1 იუვენტუსი**

1:0 ლიუნგბერგი (21), 2:0 ანრი (28), 2:1 ტრეზეგე (49), 3:1 ლიუნგბერგი (88)
**არსენალი:** ტეილორი, ლორენი, აშტონი, კემპბელი, ეშლი კოული (კიოუნი 89), ლიუნგბერგი, ვიეირა, პარლოუ, პირესი, კანუ (ბერხკამპი 69), ანრი (გრიმანდი 85)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
**იუვენტუსი:** ბუფონი, ტურამი, მონტერო, ბირინდელი, პესოტო (პარამატი 77), ძამბროტა, ტუდორი (დავიდსი 21), ტაკინარდი, ნედვედი (ამორუზო 71), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ნედვედი, ბირინდელი, კანუ, დავიდსი
მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)
35 421 მაყურებელი

**ორი კვირის** წინანდელ „ლივერპულ" — „ბარსელონას" შეხვედრის მერე, ინგლისელებმა შელახული თავმოყვარეობა აღიდგინეს, რაც „არსენალმა" მოახერხა, თუმცა შევნიშნოთ, რომ იმათგან, ვინც სამშაბათს „ჰაიბერიზე" ბრწყინავდა — ტიერი ანრი, რობერ პირესი, ფრედერიკ ლიუნგბერგი. ბოლოსკენ კი დენის ბერხკამპიც — ერთიც არაა ინგლისელი.

თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ D ჯგუფში ვითარება ისე ჩაიხლართა, ვინძლო, ბოლო ტურამდე ოთხივე გუნდს თანაბარი შანსი შერჩეს მეოთხედფინალში გასასვლელად.

თავიდან ისე ჩანდა, რომ „იუვენტუსი" გადაყლაპავდა „არსენალს". საწყის ოციოდ წუთში ალესანდრო დელ პიერომ და კომპანიამ მასპინძელთა დაცვა დააწიოკეს, გამორჩეულად სახიფათო კი პაველ ნედვედის დარტყმული იყო, რომელმაც ახლო მანძილიდან მეკარე სტიუარტ ტეილორს ვერ ააცილა. ამის მერე საპირისპირო კართან შეტევა, რომელიც თითქოს სულაც არ იყო სახიფათო, გოლით დასრულდა — ჯანლუიჯი ბუფონმა პატრიკ ვიეირას დარტყმული ვერ დაიჭირა, ბურთი ხელიდან გაუვარდა და დასწრებაზე ლიუნგბერგმა იხეირა.

მასპინძლებს გოლმა თავდაჯერებულობა შემატა, თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს და რამდენიმე წუთში მეორეც გაიტანეს — ტიერი ანრის უნაკლოდ შესრულებულმა საჯარიმომ ბუფონს გადახტომის სურვილიც კი დაუკარგა. აქვე აღვნიშნოთ, რომ ლონდონელებს დავიდ ტრეზეგეც საიმედოდ ჰყავდათ ამოკეტილი, რის გამოც წინ წასვლისა არ ეშინოდათ, ხოლო ანრისთვის ეს გოლი სეზონში მეცხრამეტე გამოდგა.

შესვენების შემდეგ კი გაირკვა, რომ ფიზიკური გამძლეობა „იუვენტუსს" მეტი შერჩენოდა და ტემპი გაზარდა, თუმცა ერთიცაა, 2:0-ზე „არსენალს" სწრაფი ფეხბურთი აღარც აწყობდა. ტემპის მომატებაზე რომ ვამბობთ, უპირველესად შეცვლაზე შესულ ედგარ დავიდსს ვგულისხმობთ, რომელიც, როგორც ყოველთვის, გიჟივით დარბოდა მოედანზე და იმ ერთ საპასუხო გოლშიც შეიტანა წვლილი. ჰოლანდიელმა ჩინებული პასი მისცა ძამბროტას, რომელმაც ტრეზეგე მონახა. ფრანგის დარტყმულის მოგერიება კარის ხაზზე მდგომმა სოლ კემპბელმა სცადა, მაგრამ მცდელობა მეკარე ტეილორმა ჩაუყარა წყალში, რომელსაც ბურთი მოხვდა და ხაზს მიღმა აღმოჩნდა. ყმაწვილი მეკარისთვის ეს ამ მატჩში ფაქტობრივად ერთადერთი შეცდომა იყო, საიმედოდ თამაშობდა. გავიხსენოთ, რომ ის მხოლოდ იმიტომ დგას კარში, რომ დევიდ სიმენი და რიჩარდ რაიტი დაშავებულნი არიან.

სულ ბოლოს კი არსენ ვენგერის შეცვლამაც გაამართლა — ლიუნგბერგმა თავისი მეორე გოლი დენის ბერხკამპის დიდებული პასით შეაგდო, ბერხკამპი კი კანუს მაგიერ თამაშობდა.

„ტიერი დიდებული ფეხბურთელია — თქვა ნამატჩევს ვენგერმა, რომელსაც თავისი ბიჭებიდან ის მოსწონებია გამორჩეულად — ანრი ყოველთვის იქაა, სადაც საჭიროა. ყველაზე მეტად კი აი, რა მახარებს — მან საჯარიმოებიდან გატანაც დაიწყო. რაც წინა სეზონში ერთხელაც არ მოუხერხებია. ის საუკეთესოა საუკეთესოთა შორის. „არსენალი" კი დღეს მიღწეულზე ვერ გაჩერდება, მეტის გაკეთება შეგვიძლია".

მარჩელო ლიპი: „არსენალი" უეჭველად დიდი გუნდია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ თამაშით დაგვჯაბნა. ნაღდი საგოლე მომენტები ჩვენ მეტი თუ არა, იმდენივე მაინც გვქონდა". ლიპიმ მსაჯსაც გაჰკრა კბილი, ბევრს სცოდავდაო.



REUTERS

არსენალი — იუვენტუსი. ფრედერიკ ლიუნგბერგი (მარცხნივ) პაოლო მონტეროომ და მისმა თანაგუნდელებმა ვერ შეაჩერეს

**ლევერკუზენი 3:0 დეპორტივო**

1:0 ზე რობერტო (64), 2:0 ნოივილი (67), 3:0 ბალაკი (79)
**ლევერკუზენი:** ბუტი, ჟივკოვიჩი, ლუსიო, იენს ნოვოტნი, პლასენტე, შნაიდერი, რამელოვ, ბალაკი (ვრანიეში 87), ზე რობერტო, კირსტენი (ბაშთურქი 75), ნოივილი (ბერბატოვი 86)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
**დეპორტივო:** მოლინა, ექტორი, დონატო, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, ემერსონი, ფრანი (ამავისკა 59), სკალონი (ვალმინია 71), ვალერონი (ტრისტანი 75), მაკაი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: სკალონი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
22 500 მაყურებელი

**„დეპორტივოსთან"** „ბაიერი" ის აღარ იყო, რაც წინა კვირაში „იუვენტუსთან". თავის მხრივ, აღარც „დეპორტივო" იყო ის გუნდი, რომელმაც ბრწყინვალე თამაშით სძლია „არსენალს" პირველ ტურში. თუკი ამას „არსენალ" — „იუვენტუსის" მატჩის მსვლელობასა და შედეგს დავუმატებთ, გამოვა, რომ ჯგუფის ოთხივე გუნდი მოჯადოებული იყო. თუმცა, თავის მხრივ, „დეპორტივო" დარჩა იმ გუნდად, რომელსაც სტუმრად, რა ხანია, ფრეც კი აუხდენელ ოცნებად ექცა. ხავიერ ირურეტას ლევერკუზენში არც შემადგენლობის გვარიანად გადახალისებამ უშველა.

მატჩის შემდეგ მასპინძელთა კომერციულმა მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა ბაიერელები ასე შეაქო: „ისინი ჯან-ღონით იყვნენ სავსე, გონება კი ნათელი ჰქონდათ". კლაუს ტოპმიოლერმა დაუმატა: „მეცინებოდა, როცა ბოლო ორი მატჩის წაგების შემდეგ ზოგიერთები კრიზისზე ალაპარაკდნენ. გუნდი, რომელსაც ჩავარდნა აქვს, ასე ვერ თამაშობს. თან „დეპორტივო" კილაც მაჩანჩალა ხომ არ არის? ძალიან ძლიერი და სოლიდური გუნდია და ჩვენ მასთან შეხვედრაში დროის მცირე მონაკვეთშიც არ გაგვიშვია ხელიდან თამაშის სადავეები". გერმანელთა ბრაზილიელი ზე რობერტო კი უფრო შორს წავიდა, ვერ წარმომიდგენია, მეოთხედფინალში როგორ ვერ უნდა გავიდეთო.

ეს ის ზე რობერტოა, რომელმაც ანგარიში გახსნა. ოღონდ შევნიშნოთ, რომ დიდი უპირატესობის მიუხედავად, პირველი გოლი საკმაოდ გვიან გავიდა. ბრაზილიელმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა. იქამდე მასპინძლებმა, კერძოდ კი ბორის ჟივკოვიჩმა, ხარიხასაც გაარტყა.

პირველს მალევე ორი გოლი მოჰყვა. ოლივერ ნოივილმა კარსტენ რამელოს ბრწყინვალე პასით იხეირა, ხოლო მიხაელ ბალაკმა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს დაუხვედრა თავი.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| დეპორტივო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |



ლოკომოტივი — ჰაპოელი. შავიტ ელიმელეხი და მაქსიმ ბუშნიცკინი: ებრაელ მეკარეს თავი ქუდში, ბურთი კი ხელში აქვს

# მერვე დღეს ღმერთმა შექმნა ჰაპოელი

### უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი

UEFA CUP

საპასუხო მატჩები. 4 დეკემბერი

**ლოკომოტივი** (რუსეთი) 0:1 ***ჰაპოელი*** *(თელ ავივი, ისრაელი)* (1:2)
0:1 ოსტერცი (48)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, იზმაილოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ბუზნიკინი, სარქისიანი (ობიორა 65), სენნიკოვი, ვუჩიჩევიჩი, პიმენოვი
ზაზა ჯანაშია სათადარიგო იყო
მწვრთნელი: იური სიომინი
გაფრთხილება: ოსტერცი, ლოსკოვი, ჰალმაი, ელიმელეხი, ნიჟეგოროდოვი
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
10 000 მაყურებელი
***დორტმუნდი*** *(გერმანია)* 1:0 კოპენჰაგენი (დანია) (1:0)
1:0 სორენსენი (89)
***როდა*** *(ჰოლანდია)* 2:0 ბორდო (საფრანგეთი) (0:1)
1:0 ანასტასიუ (56პ), 2:0 ლავალი (66)
გაძევება: ბატლე (55, ბორდო)

**თელ ავივის** „ჰაპოელის“ მწვრთნელ დრორ კაშტანისთვის არისტოკრატი და რკინიგზის მუშა სულერთია. როგორც ლონდონურ კლუბს გაუმასპინძლდა, ისევე მოექცა შინ მოსკოვის „ლოკომოტივსაც“.

იური სიომინის პრობლემა, გარდა იმისა, რომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა, სათამაშო პრაქტიკის სიმწირეც გახლდათ. ამ დროს კი ისრაელში გახურებული ჩემპიონატია.

მატჩის წინადღეს დრორ კაშტანმა, ვარჯიშისა და დასვენების შემდეგ, ფეხბურთელები კრემლისა და წითელი მოედნის დასათვალიერებლად გაამზადა. ექსკურსიაზე „ჰაპოელის“ მოლდოველმა თავდამსხმელმა კლეშჩენკომ უარი განაცხადა, ისიც მეყოფა, ბავშვობაში რომ დამატარებდნენ მოსკოვში, აღარ მაინტერესებსო. სადაც გუნდი, შენც იქაო, მოკლედ მოუჭრა მწვრთნელმა და ფეხბურთელიც აღარ შეპასუხებია. აი, ასეთი რამეები ხდება გუნდში, რომელმაც ებრაული კლუბებისთვის ჯერ არნახულ წარმატებას მიაღწია ევროსარბიელზე.

დაახლოებით 12 ათასი გულშემატკივარი მივიდა „ლოკომოტივის“ საქომაგოდ, რომლებიც თუნდაც ერთ გოლს ითხოვდნენ. გოლს, რომელიც „ლოკოს“ შემდეგ ეტაპზე გაიყვანდა. თუმცა ამაოდ — მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში მასპინძლები უნიათოდ ირჯებოდნენ და ბურთი ვერაფრით მოარჯულეს.

სამაგიეროდ, თავისი შანსი ამ შეხვედრაშიც გამოიყენა სლოვენიელმა მილან ოსტერცმა. მან რამდენიმე დღის წინ თმები შეიღება, რისთვისაც მწვრთნელმა შერისხა და ლამის მოსკოვშიც არ წაიყვანა. სლოვენიელმა კი თქვა, თავი ჩემია და როგორც მინდა, ისე გავიფერადებო. ბოლოს კაშტანს მაინც



იან დერეკ სორენსენმა „დორტმუნდი“ ბოლოსწინა წუთზელა დაამშვიდა

უფიქრია, ეგ კაცი რუსეთში აუცილებლად გვჭირდებაო და აკი არც შემცდარა. მეორე ტაიმის დასაწყისშივე რუსებს ოსტერცი ბურთიანად გაეპარათ, მან ნიგმატულინს მესამე (ერთხელ ნაკრებში, მეორედ კი თელ ავივში) გაუტანა.

სიომინის შეგირდები გონს მხოლოდ ამის შემდეგ მოეგნენ, მაგრამ სტუმრები თავს საიმედოდ იცავდნენ. საბოლოოდ მატჩი ასეც დასრულდა და ევროთასებზე რუსეთს გუნდი აღარ დარჩა. თუმცა ჩვენ რა გვეთქმის, ქართველები თუ ზაფხულშივე ვეთხოვებით ევროპას, რუსები ზამთრამდე მაინც ძლებენ.

„ლოკომოტივის“ თავკაცმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ზაზა ჯანაშიაც ახსენა, მინდოდა, შეხვედრის მიწურულს შეცვლაზე შემეშვა, მაგრამ ველარ მოვასწარი, ყველა სათადარიგო ფეხბურთელი თბილად იყო ჩაცმული და გახურებას ვერ მოასწრებდნენო.

საინტერესო გამოდგა დორტმუნდის „ბორუსიასა“ და დანიური „კოპენჰაგენის“ დაპირისპირებაც. გერმანულ გუნდს სტუმრად მინიმალური ანგარიშით ჰქონდა მოგებული, რაც დამშვიდების საშუალებას ნამდვილად არ აძლევდა.

მატჩი დაძაბული კი იყო, მაგრამ მეტოქეები დაცვაში უკეთესად ირჯებოდნენ, ვიდრე შეტევაში. ამიტომაც იყო, რომ გოლი მხოლოდ მატჩის მიწურულს გავიდა. მასპინძელმა სორენსენმა 89-ე წუთზელა დააწყნარა დორტმუნდელი გულშემატკივრები.

მოულოდნელი გახლდათ ფრანგული „ბორდოს“ მარცხი კერკრადეში „როდასთან“.

პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა. ფრანგებს არც მეორე ტაიმში უნდა გასჭირვებოდათ სასურველი ანგარიშის შენარჩუნება, მაგრამ 55-ე წუთზე მცველმა ლორან ბატლემ საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, რისთვისაც გააძევეს, პენალტი კი ზუსტად ანასტასიუმ შეასრულა.

მასპინძელთა სასიხარულოდ, პირველიდან ათიოდ წუთში გარბა ლავალმა მეორე და „როდას“ საბოლოო გამარჯვებისა შეაგდო. კაცნაკლულმა ფრანგებმა ჰოლანდიელების დაცვას გასაღები ვერაფრით მოარგეს.

**მაშა ხუციშვილი**



როდა — ბორდო. სტუმართა მეკარე ულრიხ რამემ ეს ბურთი კი მოიგერია, მაგრამ სხვა ორს ვერაფერი მოუხერხა

### უეფას თასი. მერვედფინალი

UEFA CUP

საპასუხო მატჩები. დღეს

ბიბლიოთეკა

**პსვ ეინდჰოვენი** (ჰოლანდია) — **პაოკ** (სალონიკი, საბერძნეთი) (2:3)
**ფრაიბურგი** (გერმანია) — **ფეიენოორდი** (როტერდამი, ჰოლანდია) (0:1)
**სპორტინგი** (ლისაბონი, პორტუგალია) — **მილანი** (იტალია) (0:2)
**პსჟ** (პარიზი, საფრანგეთი) — **გლაზგო რეინჯერსი** (შოტლანდია) (0:0)
**ლილი** (საფრანგეთი) — **ფიორენტინა** (ფლორენცია, იტალია) (1:0)
**სელტიკი** (გლაზგო, შოტლანდია) — **ვალენსია** (ესპანეთი) (0:1)
**ჰერტა** (ბერლინი, გერმანია) — **სერვეტი** (ჟენევა, შვეიცარია) (0:0)
**ინტერი** (მილანი, იტალია) — **იფსვიჩ თაუნი** (ინგლისი) (0:1)
**ლიტექსი** (ლოვეჩი, ბულგარეთი) — **აეკ** (ათენი, საბერძნეთი) (2:3)
**ლიდს იუნაიტედი** (ინგლისი) — **გრასჰოპერი** (ციურიხი, შვეიცარია) (2:1)
**ბრონდბიუ** (კოპენჰაგენი, დანია) — **პარმა** (იტალია) (1:1)
**მალიორკა** (ესპანეთი) — **ლიბერეცი** (ჩეხეთი) (1:3)
**ლიონი** (საფრანგეთი) — **ბრიუგე** (ბელგია) (1:4)

# ზენიტესს მეშქრებიან, სტუმრად რომ დადიხარ, შინ არაფერი მოგაქვსო

**უეფას თასის** ღლევანდელი საპასუხო მატჩების შემდეგ თასის მაძიებელთა რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდება.

ფრანგებმა ერთი გუნდი უკვე მოისაკლისეს — „ბორდომ“ ჰოლანდიაში წაიფორხილა. სახარბიელოდ არც „ლიონს“ აქვს საქმე, რომელიც ბელგიაში დიდი ანგარიშით დამარცხდა და „ბრიუგესთან“ სამბურთიანი ჰანდიკაპის ამოქაჩვა მოუწევს.

სერიოზულად ეკიდება საქმეს „ლილი“, ვინაც სტუმრად „ფიორენტინასთან“ მინიმალური ანგარიშით მოიგო და, შეიძლება ითქვას, იტალიური გუნდების სპეციალისტად ითვლება. შეგახსენებთ, ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის შეგირდებმა „პარმა“ რომ შეიწირეს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე.

ფლორენციელებს კი, მოგეხსენებათ, უმძიმესი დღეები უდგათ. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელთა ხელფასების დავალიანება გაისტუმრა, „ფიორენტინამ“ ვერა და ვერააწყო თამაში. აგერ, გასულ კვირა დღესაც ცხრილში უშუალო კონკურენტთან, „პიაჩენცასთან“ იწვნია მარცხი. ამ ამბავს ისეთი სუნი უდის, გამორიცხული არაა, რობერტო მანჩინი დაითხოვონ.

ფინანსების მხრივ საპირისპირო ვითარებაა პარმაში. კლუბმა ლილიან ტურამსა და ჯანლუიჯი ბუფონში დიდძალი ფული კი აიღო მაგრამ, როგორც ჩანს, ფული ყველაფერს არ ნიშნავს. გუნდში სულ ახლახან მივიდა დანიელ პასარელა, თუმც უკვე კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვია. მისგან შედეგს ითხოვენ, ის კი ჯერაც არ ჩანს. რაც შეეხება „ბრონდბიუს“, საკმაოდ მაღალი კლასის მებრძოლი გუნდია, რაც პარმაშიც გამოჩნდა. საფიქრებელია, რომ სტუმრად ნათამაშევი ფრე დანიელებისთვის კარგი შანსია და ალბათ, ხელიდან არ გაუშვებენ.

შედარებით უკეთეს ვითარებაშია „ინტერი“. კუპერის ბიჭებს პრემიერლიგის ბოლოადგილოსან „იფსვიჩის“ ძლევა საჭირო ანგარიშით არ უნდა გაუჭირდეთ, აი, „მილანს“ კი შინ მოპოვებული ორბურთიანი სხვაობა ლისაბონში შედარებით დამშვიდების უფლებას აძლევს. ამ იტალიურმა გუნდებმა შიდა ჩემპიონატის ბოლო ტურში კი იმარჯვეს, მაგრამ ანჩელოტის გუნდს „კიევოსთან“ მოგება ფილიპო ინძაგის ტრავმად დაუჯდა. ინძაგიმ ოპერაცია გუშინ გაიკეთა და „სპორტინგთან“ გუნდს, ცხადია ვერ დაეხმარება.

დორტმუნდის „ბორუსიას“ წარმატებული გამოსვლა ბერლინის „ჰერტას“ შეუძლია გააგრძელოს. მისი მეტოქე შვეიცარიული „სერვეტია“. არა გვგონია, „სერვეტი“ იმ „ბაიერნზე“ ძლიერი იყოს, ბერლინელებმა წინა უქმეებზე რომ დაამარცხეს.

სებასტიან დაისლერის არყოფნის მიუხედავად, „ჰერტა“ საკმაოდ შთამბეჭდავად თამაშობს და რამდენიმე ტურია, ბუნდესლიგაში არ დამარცხებულა.

უშანსო არც ქართველთა „ფრაიბურგია“. „ფეიენოორდი“ კ[illegible]რის ჰოლანდიური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი, მაგრამ ზედიზედ წაგებული ორი მატჩის შემდეგ ფოლკერ ფინკე რეაბილიტაციას, ალბათ, მაინც შეეცდება.

ცუდ დღეში ჩავარდა „ვალენსია“, რომელმაც პირველ მატჩში „სელტიკი“ მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. რაფაელ ბენიტესს უკიჟინებენ, შენი გუნდი გასვლით თამაშებს რატომ ვერ იგებსო. „ვალენსია“ ორ წამყვან ფეხბურთელს — დავიდ ალბელდას და მიგელ ანხელ ანგულოს მოისაკლისებს. გრიპი შეჰყრია ნორვეგიელ იონ კარეუსაც, გლაზგოში ვერც ადრიან ილიე ითამაშებს.

როგორც ჩანს, „ვალენსიას“ სხვა პრობლემებიც თავზესაყრელად აქვს. ამის შესახებ ნახევარმცველმა კარლოს მარჩენამ თქვა: „კლუბში ყველა ერთი მიმართულებით და ერთი მიზნისთვის არ მუშაობს. ამის გამო უამრავი პრობლემა დაგროვდა“.

პაბლო აიმარს კი თავისი გუნდისა მაინც სჯერა: „რა თქმა უნდა, „სელტიკი“ სერიოზული მეტოქეა, თანაც შინაურ კედლებში თამაშობს, მაგრამ მჯერა, ყველა წინააღმდეგობას გადავლახავთ და თამაშს მოვიგებთ“.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ მეორე გლაზგოურ კლუბ „რეინჯერსს“ ფრანგულ „პარი სენ ჟერმენთან“ ტრავმის გამო ვაჟკაცი მცველი, ლორენცო ამორუზო დააკლდება.

**მაშა ხუციშვილი**



დანიელ პასარელას სალმის თქმას არ აცლიან, უკვე ბეჭებზე დადებას უპირებენ

# მართალი ლი

## ვექილი კოპერფილდია: ბოიერი გააქრო



ლი ბოიერმა სისხლი იყნოსა...

**ვექილი** დესმონდ დე სილვა ამბობს, რომ „ლიდს იუნაიტედის" ფეხბურთელის, ლი ბოიერის წინააღმდეგ, ახალგაზრდა აზიელი სტუდენტის ცემის საქმე მცდარად იყო აღძრული. მისი მტკიცებით, პროკურორმა ვერ დახატა სრული სურათი თუ რა ძოხდა იმ ღამეს, როდესაც 21 წლის სარფრაზ ნაიჯები ლიდსის ცენტრში გალახეს.

მოგეხსენებათ, იანვარში ნაიჯებს თავს დაესხა მთელი ჯგუფი, რომელშიც თითქოს ზემოხსენებული ბოიერი და მისი თანაგუნდელი ჯონათან ვუდგეიტიც იყვნენ. ამაზე დე სილვა ამბობს: „რაც უფრო ვულრმავდები საქმეს, მით უფრო ვრწმუნდები, რომ პროკურორმა მომხდარი მხოლოდ ფრაგმენტულად დახატა. აქ კითხვა ასე უნდა დავსვათ — ვინ არის ჩხუბზე პასუხისმგებელი? და სანამ დამნაშავეთა შორის ბოიერის გვარს დავასახელებთ, სრულიად დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ის თავდამსხმელთა შორის ტრიალებდა. ჰოდა, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ლი ბოიერის წინააღმდეგ საქმე შეცდომით აღიძრა".

24 წლის ბოიერი, ვუდგეიტი და მათი ამფსონები ნილ კევინი და პოლ კლიფორდი უარყოფენ, რომ ნაიჯებს განზრახ გვემეს.

დე სილვა კი საქმეს სხვა მხრიდან უვლის. ის ამბობს, რომ აზიელი ხუთ სტუდენტ მეგობართან ერთად იყო, რომელთაგან ფეხბურთი მხოლოდ ერთს უყვარს და ამიტომ მნიშვნელოვანი მისი ჩვენებაა. ხოლო ამ ჩვენების თანახმად, ბოიერი განზე იდგა და არ ჩხუბობდა.

ითქვა ისიც, რომ ბოიერმა ნაიჯების უმცროსი ძმა, შაჰზადი სცემა. ამ ბრალდებაზე დე სილვა იცინის: „მე შემიძლია დავამტკიცო, რომ ბოიერისგან შაჰზად ნაიჯების ცემა სისულელეა".

შემდეგ ვექილი უფრო შორს მიდის. ის ატრიალებს ვუდგეიტის, კლიფორდისა და კევინის ჩვენებებს, რომლის თანახმადაც ბოიერი იმ თეთრკანიანთა შორის იდგა, რომლებიც ღამის კლუბის გარეთ შექუჩდნენ და უცქერდნენ, როგორ დაერია ერთმანეთს აზიელთა ორი ჯგუფი. ერთი სიტყვით, აზიელებს უჩხუბიათ, ინგლისელებს კი ჩხუბისთვის თვალი უდევნებიათ და ამდენად მათ წინააღმდეგ აღძრული საქმე თავიდან ბოლომდე მცდარი ყოფილა. დე სილვასავე მტკიცებით — ნათელია, რომ ბოიერი კლუბში საერთოდ არ შესულა, დანარჩენი სამი კი აღიარებს, რომ იქ იყვნენ.

„საკითხი ასე დგას — განაგრძობს ვექილი — როგორ უნდა ეცქირა ბოიერს ჩხუბისთვის, თუ იგი იქ საერთოდ არ ყოფილა? საიდან უნდა გაეგო, რომ ამა და ამ ღამის კლუბთან ჩხუბია? ხომ ხედავთ, იმის მტკიცება, რომ იგი მოსეირე თეთრკანიანთა შორის იდგა, სრული სისულელე გამოდის. შესაბამისად, ბოიერი, რომლის საქმეც დანარჩენი სამის საქმისგან ძალიან განსხვავებულია, მხოლოდ ერთ ვერდიქტს იმსახურებს: უდანაშაულოა!"

ჩვენ კი დავუმატოთ: აი, ვექილი!

**მიხეილ სურგულაძე**

# რუმინეთს გენერლის ხელი სჭირდება



ანგელ იორდანესკუ

**გეორგე ჰაჯის** მიტოვებული რუმინეთის ნაკრები შესაძლოა, ანგელ იორდანესკუს ჩააბარონ.

რუმინეთის არმიის გენერალი იორდანესკუ ხუთი წლის განმავლობაში, 1993-1998 წლებში თავკაცობდა ეროვნულ გუნდს. მისი მეთაურობით რუმინელები ორჯერ გავიდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ამჟამად 52 წლის სპეციალისტი საამიროების ნაკრებს უდგას სათავეში, ხოლო მისი კონტრაქტის ვადა მომავალი წლის მაისში იწურება. თუმცა როგორც თავად აცხადებს, მისთვის უდიდესი პატივია, კვლავ რუმინეთში მუშაობა. ოღონდ ეგაა, იორდანესკუს არაბეთიდან დასაბრუნებლად კონტრაქტის გაწყვეტა მოუწევს. დათანხმდებიან თუ არა ამ ვარიანტს არაბები, ჯერჯერობით გაურკვეველია. მოლაპარაკება ამ კვირის ბოლოს დაიწყება.

რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციაში თქვეს, თუ გენერალს არაბეთიდან არ გაუშვებენ, ნაკრებს დროებით ემერიხ იენეის მივანდობთ, ხოლო 2002 წლის მაისიდან ანგელ იორდანესკუს გადავაბარებთო.

**გაგა ხუციშვილი**

# ვალი 0:0 რეალი



ფლორენტინო პერესი

**მადრიდის** „რეალის" მეთაური ფლორენტინო პერესი, ალბათ, ერთადერთია პრეზიდენტთაგან, ვინც თავის წინასაარჩევნო დაპირებებს პირნათლად ასრულებს.

დაახლოებით წლინახევრის წინ, „სამეფო კლუბის" საპრეზიდენტო არჩევნებამდე იგი მადრიდელ ქომაგებს „ბარსელონადან" ლუიშ ფიგუს გადაბირებასა და კლუბის ვალების გასტუმრებას დაჰპირდა, კლუბის სათავეში მისულმა კი სიტყვა არ გატეხა: პორტუგალიელი რამდენიმე დღეში დაიყაბულა, ახლა კი მადრიდის მერიის სამშენებლო კომიტეტთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის თანახმად „სამეფო კლუბის" სპორტული კომპლექსი 63 მილიარდ პესეტად (დაახლოებით 331 მილიონი დოლარი) დედაქალაქის მუნიციპალიტეტს მიჰყიდა.

ახალმა პრეზიდენტმა წელიწადნახევარში შეძლო ის, რასაც მისი წინამორბედებმა რამონ მენდოსამ და ლორენსო სანსმა ვერაფერი მოუხერხეს.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას პერესი სიხარულს ვერ მალავდა: „ვალები მძიმე ტვირთად გვაწვა, ახლა კი თამამად გავიმართებით წელში".

**ლუკა გეგეჭკორი**

# NANDROLONE



**ჰოლანდიის** ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული გუნდის მოთამაშეთა მენიუდან ვიტამინების დანამატი „პლანტინარ ფიტი" ამოიღო, რომლითაც „ნარინჯისფერები" საწვრთნელი შეკრებებისას სარგებლობდნენ.

ფედერაციის სამედიცინო სამსახურის უფროსის იან ინკლარის ცნობით, ფრანკ დე ბურისა და ედგარ დავიდსის დოპინგ-ტესტზე ჩავარდნის შემდეგ ამ პრეპარატს საერთოდ აღარ მოიხმარენ, თუმცა იმავე ინკლარის თქმით, „პლანტინარ ფიტი" აკრძალულ და კანონსაწინააღმდეგოს არაფერს შეიცავს. „ჩვენს ლაბორატორიაში ეს პრეპარატი შევამოწმეთ და მასში ვერანაირი აკრძალული ნივთიერება ვერ აღმოვაჩინეთ, მაგრამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად იგი მოხმარებიდან მაინც ამოვიღეთ" — განაცხადა ინკლარმა.



**გერმანიის** ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის" კაპიტან შტეფან ეფენბერგით მადრიდის „ატლეტიკოა" დაინტერესებული. გერმანული პრესის ცნობით, 33 წლის ეფენბერგის მეუღლე-მენეჯერი მარტინა უკვე გადაფრინდა მადრიდში, სადაც ერთ დროს უძლიერეს, ახლა კი მეორე დივიზიონის ბინადარ „ატლეტიკოსთან" მოლაპარაკებას აწარმოებს. „ბაიერნის" ხელმძღვანელობა ამ ცნობას ჯერჯერობით არ ადასტურებს. შეგახსენებთ, რომ ეფენბერგს მიუნხენურ კლუბთან მიმდინარე სეზონის ბოლომდე აქვს კონტრაქტი.

**ესპანური „ტენერიფე" სლოვაკ ლეგიონერ სამუელ სლოვაკს ტრანსფერზე დაყენებას უპირებს. ფეხბურთელი პრიმერადივიზიონში „რეალ ბეტისთან" მატჩში დაშავდა და, ალბათ, ექვსი თვე ვერ ითამაშებს. კანარულ კლუბთან კონტრაქტი მას სწორედ ნახევარ წელიწადში უმთავრდება.**

**ფრანგული** „ტულუზის" საგანგებოდ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატისთვის აშენებული სტადიონი ორი თვის წინ ადგილობრივ ქიმიურ ქარხანაში მომხდარი აფეთქების შედეგად დაზიანდა. მთლიანადაა გამოსაცვლელი სახურავი, რაც ძვირადღირებულ და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს. „ტულუზი" თავის სარბიელს, სავარაუდოდ, მხოლოდ 2003-2004 წლების სეზონისათვის დაუბრუნდება, მანამდე კი სხვაგან ითამაშებს.

**გერმანული „ჰამბურგის" მენეჯერ ვერნერ ჰაკმანის თქმით, კლუბს ორი დანიელი ფეხბურთელის — „ლიუნგბიუს" 20 წლის თავდამსხმელ კრისტენსენის და „ოდენსეს" 22 წლის მცველ იაკობსენის გადაბირება სურს. კრისტენსენი, სავარაუდოდ, უკვე შემდეგი კვირიდან შეძლებს „ჰამბურგის" მაისურის მორგებას. მასთან კლუბი 2005 წლამდე აპირებს კონტრაქტის გაფორმებას. იაკობსენის ტრანსფერი კი, ალბათ, მხოლოდ სეზონის ბოლოს შედგება.**

**იტალიური** „მილანის" ფორვარდ ფილიპო ინძაგის, რომელიც „კიევოსთან" მატჩში დაშავდა, გუშინ რომში მარცხენა მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს. მისივე თქმით, ტრავმა გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ფიქრობდნენ. ფილიპო მხოლოდ სამი თვის შემდეგ შეძლებს მინდორზე დაბრუნებას.

**ბელარუსის ჩემპიონ ბობრუისკის „ბელშინას" ხელმძღვანელობამ გადადო კლუბის ფეხბურთელებისა და მწვრთნელების დაჯილდოების ცერემონიალი, რომელიც 1 დეკემბერს უნდა გამართულიყო. მიზეზი უფულობაა. კლუბს ისედაც სამი თვის ხელფას-პრემიები არ გაუცია.**

**ინგლისური** „ლივერპულის" შვეიცარიელმა ლეგიონერმა სტეფან ანშომ შოტლანდიური „სელტიკისა" და „რეინჯერსის" ინგლისურ პრემიერლიგაში თამაშის შესაძლებლობაზე თავისი აზრი გამოთქვა: „მართალია, ასეთი რამ ჯერ არსად მომხდარა, მაგრამ ფეხბურთი ვითარდება, თან შოტლანდიაც და ინგლისიც ხომ დიდი ბრიტანეთის შემადგენელი ნაწილებია. ვფიქრობ, „რეინჯერსი" და „სელტიკი" პრემიერლიგაში არ დაიკარგებიან. ამ გუნდებს თავისი სტილი აქვთ და ეს კიდევ უფრო მეტ მაყურებელს მიიზიდავს".

**ინგლისურ „ლიდსში" „ლივერპულიდან" წინა კვირაში გადასული რობი ფაულერი ფიქრობს, რომ მისი დებიუტი „ფულემთან" ურიგო ნამდვილად არ იყო: „რაც „ლიდსში" გადმოვედი, გამუდმებით პრესის ყურადღების ცენტრში ვარ. ამიტომ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, პირველი მატჩი სათანადო დონეზე ჩამეტარებინა. ისე, აჯობებდა, ერთი-ორი გოლიც შემეგდო და მოგვეგო, მაგრამ არა უშავს, დებიუტისთვის, ვფიქრობ, ცუდად არ გამოვიყურებოდი".**

**შოტლანდიის** ჩემპიონ გლაზგოს „სელტიკის" მწვრთნელი მარტინ ონილი გაზეთ THE OBSERVER-ისგან საჯარო ბოდიშის მოხდას მოითხოვს სტატიისათვის, სადაც გაშუქებული იყო მისი ვითომ ფარული მოლაპარაკება „მანჩესტერ იუნაიტედის" უფროსობასთან ალექს ფერგიუსონის შეცვლის თაობაზე. ონილის მტკიცებით, ეს სიცრუეა და „მანჩესტერში" გადასვლას ნამდვილად არ აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი მზადაა, თავისივე ინფორმაცია უარყოს, ონილი ამას არ ყაბულდება და სურს, ბოდიშიც მოუხადონ.

## ინგლისი

### I დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**მილუოლი 2:3 მანჩესტერ სიტი**

0:1 გოტერი (23), 1:1 სადლიერი (45), 1:2 ჰაკერბი (68), 2:2 კლარიჯი (77), 2:3 რაიტ-ფილიპსი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 22 | 13 | 4 | 5 | 42:29 | 43 |
| ვულვზი | 21 | 12 | 5 | 4 | 33:16 | 41 |
| სიტი | 21 | 12 | 3 | 6 | 50:31 | 39 |
| ნორვიჩი | 22 | 12 | 3 | 7 | 31:28 | 39 |
| ვესტ ბრომვიჩი | 21 | 12 | 2 | 7 | 25:18 | 38 |
| ქოვენთრი | 21 | 11 | 4 | 6 | 28:19 | 37 |
| პრესტონი | 22 | 9 | 9 | 4 | 37:27 | 36 |
| კრ. პალასი | 21 | 11 | 1 | 9 | 43:32 | 34 |
| მილუოლი | 21 | 10 | 4 | 7 | 37:27 | 34 |
| პორტსმუთი | 22 | 9 | 6 | 7 | 34:31 | 33 |
| ბირმინგემი | 21 | 8 | 6 | 7 | 33:30 | 30 |
| უოტფორდი | 21 | 8 | 5 | 8 | 33:26 | 29 |
| ნოტინგემი | 22 | 7 | 8 | 7 | 24:21 | 29 |
| ჯილინგემი | 22 | 8 | 5 | 9 | 32:30 | 29 |
| ბრედფორდი | 22 | 8 | 5 | 9 | 40:40 | 29 |
| შეფილდი | 22 | 6 | 9 | 7 | 24:27 | 27 |
| უიმბლდონი | 22 | 6 | 8 | 8 | 36:36 | 26 |
| როტერჰემი | 22 | 6 | 7 | 9 | 28:34 | 25 |
| ქრიუ | 22 | 6 | 7 | 9 | 20:34 | 25 |
| უენსდი | 22 | 5 | 7 | 10 | 24:35 | 22 |
| უოლსოლი | 22 | 5 | 5 | 12 | 23:36 | 20 |
| გრიმსბი | 22 | 5 | 5 | 12 | 21:42 | 20 |
| ბარნსლი | 22 | 4 | 6 | 12 | 26:47 | 18 |
| სტოკპორტი | 22 | 2 | 6 | 14 | 21:49 | 12 |

## ჰოლანდია

### I დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**აიაქსი 4:0 სიტარდი**

1:0 ბერგდოლმო (14), 2:0 მახლასი (28), 3:0, 4:0 იბრაჰიმოვიჩი (68, 79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 15 | 10 | 2 | 3 | 35:18 | 32 |
| ფეიენოორდი | 14 | 10 | 1 | 3 | 31:11 | 31 |
| ჰერენვენი | 15 | 8 | 4 | 3 | 27:10 | 28 |
| ბრედა | 16 | 8 | 4 | 4 | 30:24 | 28 |
| უტრეხტი | 16 | 8 | 3 | 5 | 32:21 | 27 |
| პსვ | 16 | 8 | 3 | 5 | 31:23 | 27 |
| ვიტესი | 15 | 7 | 5 | 3 | 16:10 | 26 |
| ვალვაიკი | 16 | 7 | 2 | 7 | 24:19 | 23 |
| ალკმაარი | 16 | 6 | 2 | 8 | 18:21 | 20 |
| ტილბურგი | 16 | 4 | 7 | 5 | 24:26 | 19 |
| ნაიმეგენი | 16 | 5 | 4 | 7 | 13:25 | 19 |
| გრააფსხაპი | 16 | 5 | 2 | 9 | 20:30 | 17 |
| გრონინგენი | 16 | 5 | 2 | 9 | 18:29 | 17 |
| სპარტა | 16 | 4 | 5 | 7 | 17:33 | 17 |
| დენ ბოსხი | 15 | 3 | 7 | 5 | 21:23 | 16 |
| ტვენტე | 15 | 3 | 7 | 5 | 17:21 | 16 |
| როდა | 16 | 4 | 3 | 9 | 15:24 | 15 |
| სიტარდი | 15 | 2 | 3 | 10 | 13:34 | 9 |

## ესპანეთი

### თასის მერვედფინალის წილისყრა

ბადახოსი (II) — ვალიადოლიდი; სიუდად დე მურსია (III) — რაიო ვალეკანო; კორდობა (II) — მალიორკა; ფიგერესი (III) — ნოველდა (III); ხიმნასტიკი (II) — რეალი; ოსპიტალეტი (III) — დეპორტივო; სალამანკა (II) — ბილბაო; სპორტინგი (II) — ვილიარეალი

პირველი მატჩები 12 დეკემბერს, საპასუხოები 19 დეკემბერს გაიმართება

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი და კრონკი
წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

სამშაბათს და შაბათს კოეფიციენტები, ოთხშაბათს და პარასკევს: კოეფიციენტებს პლუს ექვსი ქვეყნის სტატისტიკა, ხუთშაბათობით მონაწილე 23-ის სტატისტიკა კოეფიციენტებითურთ.

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

### გერმანია. პირველი ბუნდესლიგა. 2001-02. XVI ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 08.12.01 | 18.30 | 001 | 1:2ჰერტა; ნიურნბერგი0:0; 0:1ვერდერი **ბაიერნი** V **ვოლფსბურგი** 2:1ჰანზა; გლადბახი3:1; 0:2ჰერტა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1,7 | 3,2 | 3,2 | - | 3:1 3:1 | 5:0 1:1 | 1:0 3:0 |
| 08.12.01 | 18.30 | 003 | გლადბახი1:1; 0:0კოტბუსი; ფრაიბურგი3:0 **შტუტგარტი** V **მიუნხენი** კოტბუსი1:0; 3:1ფრაიბურგი; დორტმუნდი1:3 | 1,8 | 3,1 | 4,0 | | | | - | 2:2 1:2 | 1:3 1:1 | 0:1 1:1 |
| 08.12.01 | 18.30 | 004 | 0:1მიუნხენი; შტუტგარტი0:0; 0:0გლადბახი **კოტბუსი** V **ლევერკუზენი** ფრაიბურგი3:0; 0:3დორტმუნდი; ზტ. პაული5:1 | 2,9 | 3,2 | 2,2 | | | | - | 1:1 0:2 | - | [illegible] |
| 08.12.01 | 18.30 | 005 | 2:0კიოლნი; ლაუტერნი3:0; 3:1მიუნხენი **დორტმუნდი** V **ჰამბურგი** ზტ. პაული4:3; 1:4ლევერკუზენი; შალკე0:0 | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,95 | 3,2 | 2,4 | - | 3:2 4:2 | 1:1 0:1 | 2:1 0:0 |
| 08.12.01 | 18.30 | 007 | 3:4ჰამბურგი; კიოლნი1:2; 1:5ლაუტერნი **ზტ. პაული** V **ვერდერი** ლევერკუზენი2:1; 4:1შალკე; ბაიერნი1:0 | 3,1 | 3,2 | 2,1 | | | | - | - | - | - |
| 08.12.01 | 18.30 | 008 | 1:2ვერდერი; ჰამბურგი4:1; 2:1კიოლნი **ლევერკუზენი** V **ნიურნბერგი** შალკე0:3; 0:0ბაიერნი; ჰანზა2:0 | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1,7 | 3,2 | 3,2 | - | - | - | 3:0 2:2 |
| 08.12.01 | 18.30 | 010 | 1:1შტუტგარტი; 1:3ვოლფსბურგი; კოტბუსი0:0 **გლადბახი** V **ჰანზა** ვოლფსბურგი1:2; ჰერტა1:1; 0:2ნიურნბერგი | 1,8 | 3,1 | 4,0 | | | | - | - | - | 1:1 1:1 |
| 09.12.01 | 20.30 | 011 | 0:3ლაუტერნი; მიუნხენი1:3; 0:3შტუტგარტი **ფრაიბურგი** V **კიოლნი** დორტმუნდი0:2; 2:1ზტ. პაული; ლევერკუზენი1:2 | 1,75 | 3,2 | 4,0 | | | | - | 0:0 1:0 | - | - |
| 09.12.01 | 20.30 | 012 | 3:0ნიურნბერგი; ვერდერი1:4; 0:0ჰამბურგი **შალკე** V **ჰერტა** ბაიერნი2:1; 1:1ჰანზა; ვოლფსბურგი2:0 | 2,0 | 3,1 | 3,4 | | | | - | 4:0 3:1 | 1:1 1:2 | 0:2 0:0 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერი 1904 ლევერკუზენი (4) | | 24.02 | 1:1 | 2:1 | 21.04 | 04.05 | 06.02 | 4:1 | 24.03 | 2:1 | 4:1 | 4:1 | 10.02 | 27.01 | 10.03 | 07.04 | : | 3:1 | 15 | 11 | 3 | 1 | 38:17 | 36 | 6 | 1 | 0 | 20:7 | 19 | 5 | 2 | 1 | 18:10 | 17 |
| 2 | ბორუსია დორტმუნდი (3) | 1:1 | | 0:2 | 3:0 | 04.05 | 27.01 | 17.02 | 1:0 | 07.04 | 4:0 | : | 0:2 | 10.03 | 06.02 | 24.03 | 21.04 | 2:0 | 03.03 | 15 | 11 | 1 | 3 | 26:9 | 34 | 4 | 1 | 2 | 11:5 | 13 | 7 | 0 | 1 | 15:4 | 21 |
| 3 | ბაიერნი მიუნხენი (1) | 03.02 | 10.02 | | 4:1 | 07.04 | 21.04 | 3:0 | 4:0 | 10.03 | : | 3:0 | 1:0 | 19.12 | 04.05 | 24.02 | 24.03 | 0:0 | 2:0 | 15 | 10 | 2 | 3 | 31:7 | 32 | 6 | 1 | 0 | 17:1 | 19 | 4 | 1 | 3 | 14:6 | 13 |
| 4 | კაიზერსლაუტერნი (8) | 31.03 | 14.04 | 17.03 | | 2:1 | 4:1 | 0:0 | 16.12 | 19.12 | 03.03 | 06.02 | 3:0 | 3:2 | 3:1 | 27.04 | 2:1 | 17.02 | 5:1 | 15 | 10 | 1 | 4 | 33:20 | 31 | 7 | 1 | 0 | 22:7 | 22 | 3 | 0 | 4 | 11:13 | 9 |
| 5 | ვერდერი ბრემენი (7) | 2:1 | 16.12 | 1:0 | 10.02 | | 17.03 | 14.04 | 03.02 | 1:3 | 1:0 | 24.02 | 19.12 | 1:0 | 31.03 | 3:2 | 1:1 | 3:0 | 27.04 | 15 | 9 | 2 | 4 | 24:16 | 29 | 6 | 1 | 1 | 13:7 | 19 | 3 | 1 | 3 | 11:9 | 10 |
| 6 | ჰერტა ბერლინი (5) | 16.12 | 0:2 | 2:1 | 24.02 | 3:1 | | 27.04 | 10.02 | 2:1 | 2:0 | 10.03 | 03.02 | 3:0 | 14.04 | 2:3 | 3:0 | 24.03 | 19.12 | 15 | 8 | 3 | 4 | 25:19 | 27 | 6 | 0 | 2 | 17:8 | 18 | 2 | 3 | 2 | 8:11 | 9 |
| 7 | შალკე 04 გელზენკირხენი (2) | 3:3 | 1:0 | 27.01 | 24.03 | 1:4 | : | | 10.03 | 1:0 | 04.05 | 07.04 | 24.02 | 03.02 | 3:1 | 2:0 | 3:1 | 21.04 | 10.02 | 15 | 7 | 4 | 4 | 19:17 | 25 | 5 | 1 | 1 | 14:9 | 16 | 2 | 3 | 3 | 5:8 | 9 |
| 8 | შტუტგარტი (15) | 17.03 | 31.03 | 03.03 | 04.05 | 0:0 | 0:0 | 3:0 | | : | 17.02 | 27.01 | 3:0 | 1:1 | 2:1 | 14.04 | 0:0 | 06.02 | 2:0 | 15 | 6 | 5 | 4 | 18:15 | 23 | 4 | 4 | 0 | 11:2 | 16 | 2 | 1 | 4 | 7:13 | 7 |
| 9 | მიუნხენი 1860 (11) | 1:4 | 1:3 | 1:5 | 0:4 | 06.02 | 17.02 | 17.03 | 27.04 | | 2:1 | 1:1 | 14.04 | 16.12 | 03.03 | 1:0 | 27.01 | 1:0 | 31.03 | 15 | 6 | 2 | 7 | 20:27 | 20 | 3 | 1 | 4 | 8:18 | 10 | 3 | 1 | 3 | 12:9 | 10 |
| 10 | ვოლფსბურგი (9) | 19.12 | 03.02 | 27.04 | 2:0 | 24.03 | 07.04 | 16.12 | 0:2 | 24.02 | | 0:1 | 1:1 | 3:1 | 21.04 | 10.02 | 10.03 | 5:0 | 1:1 | 15 | 5 | 3 | 7 | 23:21 | 18 | 3 | 2 | 2 | 12:6 | 11 | 2 | 1 | 5 | 11:15 | 7 |
| 11 | ჰამბურგი (13) | 14.04 | 27.04 | 31.03 | 2:3 | 0:4 | 4:0 | 0:0 | 2:0 | 03.02 | 17.03 | | 16.12 | 3:3 | 0:1 | 19.12 | 10.02 | 03.03 | 4:3 | 15 | 4 | 4 | 7 | 19:25 | 16 | 3 | 2 | 3 | 15:14 | 11 | 1 | 2 | 4 | 4:11 | 5 |
| 12 | ფრაიბურგი (6) | 03.03 | 17.03 | 17.02 | 21.04 | 3:0 | 1:3 | 2:0 | 07.04 | 1:3 | 06.02 | 04.05 | | 24.03 | 1:1 | 3:1 | : | 27.01 | 2:2 | 15 | 4 | 4 | 7 | 19:26 | 16 | 3 | 2 | 2 | 13:10 | 11 | 1 | 2 | 5 | 6:16 | 5 |
| 13 | ბორუსია მიონხენგლადბახი (დ) | 0:1 | 1:2 | 1:0 | 27.01 | 03.03 | 31.03 | 0:0 | 21.04 | 04.05 | 14.04 | 17.02 | 2:2 | | : | 0:0 | 06.02 | 17.03 | 2:2 | 15 | 3 | 6 | 6 | 17:22 | 15 | 1 | 4 | 2 | 6:7 | 7 | 2 | 2 | 4 | 11:15 | 8 |
| 14 | ჰანზა როსტოკი (12) | 0:3 | 0:2 | 16.12 | 10.03 | 0:1 | 1:1 | 19.12 | 24.02 | 2:2 | 1:2 | 24.03 | 10.02 | 27.04 | | 0:0 | 3:0 | 07.04 | 03.02 | 15 | 3 | 4 | 8 | 13:22 | 13 | 1 | 3 | 4 | 7:11 | 6 | 2 | 1 | 4 | 6:11 | 7 |
| 15 | ენერგი კოტბუსი (14) | 2:3 | 0:2 | 0:3 | : | 27.01 | 06.02 | 03.03 | 0:0 | 21.04 | 3:3 | 1:0 | 31.03 | 07.04 | 17.02 | | 04.05 | 1:0 | 17.03 | 15 | 3 | 4 | 8 | 13:26 | 13 | 2 | 2 | 3 | 7:11 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:15 | 5 |
| 16 | კიოლნი (10) | 1:2 | 0:2 | 0:2 | 03.02 | 17.02 | 03.03 | 31.03 | 19.12 | 2:0 | 0:4 | 2:1 | 27.04 | 0:2 | 17.03 | 16.12 | | 1:2 | 14.04 | 15 | 3 | 2 | 10 | 11:28 | 11 | 2 | 0 | 6 | 6:15 | 6 | 1 | 2 | 4 | 5:13 | 5 |
| 17 | ნიურნბერგი (დ) | 27.04 | 19.12 | 14.04 | 0:2 | 10.03 | 1:3 | 0:3 | 2:4 | 10.02 | 31.03 | 0:0 | 2:0 | 1:2 | 2:0 | 03.02 | 24.02 | | 16.12 | 15 | 3 | 2 | 10 | 10:27 | 11 | 2 | 1 | 5 | 8:14 | 7 | 1 | 1 | 5 | 2:13 | 4 |
| 18 | ზტ. პაული ჰამბურგი (დ) | 17.02 | 1:2 | 06.02 | 07.04 | : | 0:0 | 0:2 | 24.03 | 0:3 | 27.01 | 21.04 | 10.03 | 24.02 | 0:1 | 4:0 | 1:2 | 04.05 | | 15 | 1 | 4 | 10 | 16:31 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:10 | 4 | 0 | 3 | 5 | 10:21 | 3 |

### გერმანია. მეორე ბუნდესლიგა. 2001-02. XVI ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 07.12.01 | 22.00 | 013 | 4:4მაინცი; ბოხუმი0:1; 1:0უნტერჰახინგი **დუისბურგი** V **ჰანოვერი** არმინია4:4; 1:1აინტრახტი; ზაარბრიუკენი0:0 | 2,8 | 2,9 | 2,4 | | | | : | 2:0 2:1 | - | - |
| 07.12.01 | 22.00 | 014 | 1:2უნტერჰახინგი; ალემანია5:1; 1:1კარლსრუე **უნიონი** V **ბოხუმი** ფიურტი1:1; 1:0დუისბურგი; არმინია0:0 | 2,1 | 3,1 | 3,2 | | | | : | - | - | - |
| 07.12.01 | 22.00 | 015 | 4:4ჰანოვერი; მაინცი0:1; 0:0ბოხუმი **არმინია** V **ობერჰაუზენი** აინტრახტი2:1; 0:1ზაარბრიუკენი; შვაინფურტი5:0 | 1,5 | 3,5 | 6,0 | | | | : | 2:0 0:0 | - | 5:1 2:0 |
| 08.12.01 | 18.00 | 016 | 1:1ბოხუმი; უნტერჰახინგი3:1; 1:2ალემანია **ფიურტი** V **მაინცი** დუისბურგი4:4; 1:0არმინია; აინტრახტი1:1 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | : | 0:1 3:1 | 0:1 2:0 | 0:3 3:1 |
| 08.12.01 | 18.00 | 017 | 0:2ალემანია; 0:1როიტლინგენი; უნიონი1:1 **კარლსრუე** V **ვალდჰოფი** როიტლინგენი1:0; ბაბელსბერგი4:1; 0:0ალენი | 1,8 | 3,1 | 4,0 | | | | : | - | 1:1 1:1 | - |
| 09.12.01 | 18.00 | 018 | 1:2ობერჰაუზენი; ჰანოვერი1:1; 1:1მაინცი **აინტრახტი** V **ალენი** ზაარბრიუკენი3:1; 2:4შვაინფურტი; ვალდჰოფი0:0 | 1,7 | 3,2 | 4,4 | | | | - | - | - | - |
| 09.12.01 | 18.00 | 019 | კარლსრუე2:0; 1:5უნიონი; ფიურტი2:1 **ალემანია** V **უნტერჰახინგი** უნიონი2:1; 1:3ფიურტი; დუისბურგი0:1 | 2,0 | 3,1 | 3,4 | | | | - | - | - | - |
| 09.12.01 | 18.00 | 020 | 1:3ბაბელსბერგი; ალენი4:2; 0:5ობერჰაუზენი **შვაინფურტი** V **როიტლინგენი** 0:1ვალდჰოფი; კარლსრუე1:0; 3:0ბაბელსბერგი | 2,0 | 3,1 | 3,4 | | | | - | - | - | - |
| 10.12.01 | 23.15 | 021 | 1:3ალენი; ობერჰაუზენი1:0; 0:0ჰანოვერი **ზაარბრიუკენი** V **ბაბელსბერგი** შვაინფურტი3:1; 1:4ვალდჰოფი; როიტლინგენი0:3 | 2,0 | 3,2 | 3,3 | | | | - | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაინცი (14) | | 2:2 | | 1:1 | | | 5:1 | 16.12 | 2:1 | 2:0 | 1:0 | | | 4:4 | 4:1 | | | | 15 | 11 | 3 | 1 | 34:15 | 36 | 5 | 3 | 0 | 21:10 | 18 | 6 | 0 | 1 | 13:5 | 18 |
| 2 | ჰანოვერი (9) | | | 4:4 | | 2:0 | 16.12 | | | | | 5:0 | 3:0 | 2:0 | | | 6:1 | 2:0 | 0:0 | 15 | 8 | 7 | 0 | 40:15 | 31 | 6 | 2 | 0 | 24:5 | 20 | 2 | 5 | 0 | 16:10 | 11 |
| 3 | არმინია ბილეფელდი (13) | 0:1 | | | | | | | 4:1 | | 2:0 | | | 5:0 | 2:2 | | 0:1 | : | 3:1 | 15 | 8 | 3 | 4 | 29:16 | 27 | 4 | 1 | 2 | 16:6 | 13 | 4 | 2 | 2 | 13:10 | 14 |
| 4 | აინტრახტი მაინის ფრანკფურტი (დ) | | 1:1 | 0:2 | | 1:0 | 1:4 | : | | 3:1 | | | 2:2 | | | 2:0 | | | | 15 | 7 | 5 | 3 | 23:16 | 26 | 3 | 2 | 2 | 10:10 | 11 | 4 | 3 | 1 | 13:6 | 15 |
**უქმეები** ქართველ ლეგიონერებისთვის არცთუ წარმატებული გამოდგა. მხოლოდ ორმა „ქართულმა" გუნდმა შეძლო გამარჯვება. კახა კალაძის „მილანმა" „კიევოს" სძლია, ხოლო გოგა გახოკიძის პსვ-მ ჰოლანდიის ჩემპიონატში „ალკმაარი" მოინელა უპრობლემოდ.

მიუხედავად ამ საერთო ფონისა, ქართველებისთვის აღსანიშნავი და გამოსარჩევი მაინც მოხდა. შაბათ-კვირა მუჯირებისა იყო.

შაბათს „მარეკში" გადახვეწილმა ამირანმა გაიხარა პირველი ბულგარული გოლით, კვირას კი დავითმა გატეხა ნავსი და ასევე პირველი გოლი მიითვალა ავსტრიის ჩემპიონატში.

თანმიმდევრობით მივყვეთ.

„მარეკი" ბულგარეთში დიდი ვერაფერი კლუბია. თოთხმეტგუნდა ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილზეა, დღემდე გამართულ 17 თამაშში მხოლოდ 13 ქულას მოუყარა თავი და რაღა გასაკვირია, რომ ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. შაბათს ამირან მუჯირის გუნდს პირველადგილოსანი, მრისხანე (ბულგარული საზომით) ცსკა ჰყავდა მეტოქედ და ბევრი უშანსოდ მიიჩნევდა. პროგნოზი გამართლდა, „მარეკი" დამარცხდა, მაგრამ სტუმართაგან ერთადერთი გოლი ქართველმა გაიტანა. მუჯირმა საჯარიმო დარტყმით მანჩევის მესამე წუთზე გატანილს უპასუხა. ეს ყველაფერი 27-ე წუთზე მოხდა. ტაიმის ბოლომდე ცსკა-მ დაწინაურება შეძლო და მერე ანგარიში აღარც შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ ექსბათუმელი 57-ე წუთზე მწვრთნელმა ალექსანდროვით შეცვალა, ალბათ, მუჯირი მომდევნო ტურშიც გამოჩნდება თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში.

გაცილებით უკეთესად აქვს საქმე დავით მუჯირის „შტურმს". გრაცელები ჩემპიონობისთვის იბრძვიან და კვირას დერბი ჰქონდათ თანაქალაქელ და მეორეადგილოსან „გრაცერთან". „შტურმმა" უმუჯიროდ დაიწყო თამაში და მალე გასათანაბრებლად გაუხდა საქმე — „გრაცერი" გრაინმეიერმა დააწინაურა, თუმც ტაიმის ბოლოს შტურმელთა მალამომ, ივიცა ვასტიჩმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო. მეორე ტაიმის 71-ე წუთზე ივიცა ოსიმმა ზაბიკის ნაცვლად მუჯირი შეუშვა მოედანზე და თამაშს მოწყურებულმა „მუმუმ" ოთხ წუთში მასპინძელთა დაწინაურება შეძლო. „შტურმი" ახლოს იყო გამარჯვებასთან და მუჯირიც ალბათ მატჩის გმირი გახდებოდა, მე-80 წუთზე მის თანაგუნდელ მცველებს რომ არ ჩასძინებოდათ და იმავე გრაინმეიერს ანგარიში არ გაეთანაბრებინა. თუმც ქართველს ნაღდად მისალოცად აქვს საქმე, მუჯირმა ხომ ნავსი გატეხა და მიუხედავად იმ მცირე დროისა, მწვრთნელი თავის გამოსაჩენად რომ აძლევს, პირველი გოლი გაიტანა ავსტრიის ჩემპიონატში.

„სერია" A-ს ლიდერ „კიევოს" დამარცხებაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა კახა კალაძემ. მან მთელი მეორე ტაიმი დაჰყო მოედანზე და არცთუ ურიგო შეფასება (6,5) დაიმსახურა მედიელთაგან.

ურიგოდ არც გოგა გახოკიძეს უთამაშია. აშკარაა, ერიკ გერეტსმა საგრძნობლად გაუშინაურა ქართველი ძირითად შემადგენლობას. გოგაც ცდილობს, მწვრთნელი არ დაალალატოს, „ალკმაართან" ქართველმა ლეგიონერმა ერთ გოლში დაიდო წილი, თანაასისტენტობა გაუწია მეორე გოლის გამტან ფოგელს.

ზამთრის პირველი დღე წარუმატებელი გამოდგა „ფრაიბურგისა" და მისი ქართველებისთვის. „ფრაიბურგი" ისეთ მეტოქესთან წახდა, აქამდე თითქმის ყოველთვის რომ ამარცხებდა შინ და გარეთ. „კაიზერსლაუტერნმა" უსიამოვნო ტრადიციას ბოლო მოუღო და დიდი ანგარიშით გაანადგურა ფოლკერ ფინკეს გუნდი. ქართველთაგან ძირითადში იაშვილმა და ცქიტიშვილმა ითამაშეს, კობიაშვილი კი დისკვალიფიკაციის გამო დააკლდა გუნდს. კიკნაძე ძველებურად ტრავმირებულია, ზამთარაძე კვლავაც სარეზერვო გუნდთან ერთად გამოიზამთრებს. მთლიანობაში ცქიტიშვილმაც და იაშვილმაც დანარჩენი თანაგუნდელების მსგავსად სუსტად ითამაშეს, ეგ არის, იაშვილმა მატჩის მიწურულს საგოლე შანსი ვერ გამოიყენა.

გამოსარჩევი ამბავი მოხდა შოტლანდიაში. ორი „ქართული" გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს. „დანდი" — „რეინჯერსის" მატჩი უგოლოდ დასრულდა, მაგრამ ერთობ მაღალი შეფასება მიიღო ზურაბ ხიზანიშვილმა, რომელმაც თანამემამულე შოთა არველაძეს არ გაანძრევინა ფეხი. ხიზანიშვილმა ჩინელ ფან ჟისთან ერთად გაუვალი ქართულ-ჩინური კედელი შექმნა და კაბალიეროს ქეცბაიას ჩინებული პასით რომ ეხეირა, ეგებ „დანდის" ხმაურიანი გამარჯვებისთვისაც გამოეკრა ხელი.

შვეიცარიაში ვერაფერი მოუხერხა ფავორიტმა „ციურიხმა" აუტსაიდერ „ლუცერნს". მეტიც, მატჩი ორიდან ერთი ქართველისთვის ნაადრევად და სავალალოდ დასრულდა. მე-9 წუთზე მიხეილ ყაველაშვილმა მენისკი დაიზიანა და ორშაბათ საღამოს საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩნდა. ყაველაშვილი იანვრის ბოლოსღა თუ შეძლებს მოედანზე დაბრუნებას, მანამდე კი „ქართული სიტყვის თქმა" „ციურიხში" მარტო ჯამარაულს მოუწევს. უხომერიკოდ სძლია „იანგ ბოისს" „აარაუმ". ტრავმამოშუშებული ლევანი სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს თანაგუნდელთა წარმატებას.

ინგლისში ქართველებისთვის ყველაფერი ძველებურადაა. ქინქლაძეს კვლავ არ უთამაშია, ალექსიძე კი ისევ სარეზერვო გუნდში ჰყავს რანიერის.

შინ, „ლეგიასთან" მარცხის მიუხედავად, პოლონეთის თასის ნახევარფინალში გააღწია მამია ჯიქიას „რუხმა". ამ გუნდების პირველი სათასო მატჩი „რუხმა" 4:2 მოიგო და ჯიქიამ გოლის გატანა შესძლო, ამჯერად კი მხოლოდ გაფრთხილებით გამოიჩინა თავი.

ბოლოს კი იმასაც გეტყვით, რომ „მალაგასთან" უდემეტრაძეოდ მოთამაშე „სოსიედადმა" სახიფათო ზონაში დაიმკვიდრა ადგილი.

**ბაატა ძმანტალიანი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ლაუტერნი 0:3 | 85 | შეცვალეს | 15 | 3 | 12 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ლაუტერნი 0:3 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 13 | 2 | 10 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ლაუტერნი 0:3 | 90 | | 12 | 1 | 12 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | ლაუტერნი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 12 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | ლაუტერნი 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | დორტმუნდი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 0 | 16 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | ბოხუმი 1:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 6 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ლივერპული 0:1 | 0 | სათადარიგო | 7 | 0 | 19 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | მანჩესტერი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | რეინჯერსი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 1 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | რეინჯერსი 0:0 | 90 | | 17 | 0 | 6 |
| თემურ ქეცბაია | დანდი | შ | რეინჯერსი 0:0 | 90 | | 7 | 1 | 6 |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | დანდი 0:0 | 90 | | 7 | 4 | 2 |
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | კიევო 3:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 1 | 4 |
| **იტალია. სერია B** | | | | | | | | |
| დავით დიღმელაშვილი | სიენა | შ | რეჯინა 2:2 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 20 |
| ლევან მელქაძე | სიენა | ს | ბარი 0:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 20 |
| **ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | ს | მალაგა 0:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 7 | 1 | 19 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | ალკმაარი 3:0 | 84 | შეცვალეს | 10 | 0 | 6 |
| **ბელგია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | მოლენბეკი 1:2 | 90 | | 9 | 0 | 15 |
| მამუკა წერეთელი | ლიერსი | შ | მოლენბეკი 1:2 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 15 |
| **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | ლუცერნი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 16 | 1 | 9 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | ლუცერნი 1:1 | 9 | შეცვალეს | 17 | 10 | 9 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | შ | იანგ ბოისი 2:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 8 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | გრაცერი 2:2 | 19 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 5 | 1 | 3 |
| **დანია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ აშვეთია | კოპენჰაგენი | შ | ოლბორგი 3:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 3 | 0 | 2 |
| **პოლონეთი. თასის მეოთხედფინალი** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | ლეგია 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 1 | |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | ცსკა 1:2 | 57 | შეცვალეს, 1 გოლი | 11 | 1 | 13 |
| **ისრაელი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ყიფიანი | მ. კირიათ გათი | შ | ჰ. ჰაიფა 0:0 | ? | | ? | 1 | 12 |
| გოჩა ქოქოშვილი | მ. კირიათ გათი | შ | ჰ. ჰაიფა 0:0 | 90 | | ? | 0 | 12 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ავსტრიული „შტურმის" ქართველმა ნახევარმცველმა **დავით მუჯირმა** იქაურ ბუნდესლიგაში პირველი გოლი გაიტანა. „შტურმი" ახლა სატურნირო ცხრილში მესამეა, თუმც მეორეადგილოსან „გრაცერზე" თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული და შესაძლოა, მეორე წრის განახლებამდე ზემოთ აიწიოს. სხვათა შორის, „შტურმი" ლიდერ „ტიროლს" უნდა შეხვდეს და თუ მოიგო, კვლავ ეძლევა ჩემპიონობის რეალური შანსი.

# მუჯირი შეშვებაში გოლით გავიდა



— ახლა შვებულებაში ვარ. ავსტრიაში, ალბათ, 1 იანვარს დავბრუნდები და მეორე დღესვე მოსამზადებელი პერიოდი დაგვეწყება — გვითხრა თბილისში ჩამოსულმა დავით მუჯირმა — ხუთი დღე გრაცში ვივარჯიშებთ, შვიდში კი ანთალიაში გავემგზავრებით და ექვსგუნდიან საერთაშორისო ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას.

**— როგორც ჩანს, გუნდის ძირითად შემადგენლობას უკვე გაუშინაურდი.**

— დიახ. პარტნიორებთანაც შევთამაშდი და მწვრთნელიც უკვე ხშირად მათამაშებს. ერთ მატჩში სასტარტო შემადგენლობაშიც კი ვიყავი. ახლა ვეცდები, მეორე წრისთვის უკეთ მოვემზადო და ძირითადში ადგილი დავიმკვიდრო. მით უფრო, როგორც ვიცი, „შტურმის" დატოვებას ჩემი ერთი კონკურენტი, ვეტერანი რაინმაიერი აპირებს.

**— ბოლო მატჩში მწვრთნელმა თავდამსხმელად რატომ გათამაშა?**

— საშინაო მატჩი იყო და მოგება გვჭირდებოდა. ოსიმმა გამოკვეთილი თავდამსხმელის გვერდით თამაში დამავალა. თავიდან ცოტა კი გამიკვირდა, მაგრამ რა გაეწყობოდა. ვითამაშე და ვფიქრობ, მწვრთნელი უკმაყოფილო არ დამიტოვებია.

**— საჩემპიონო ბრძოლაში „შტურმს" „ტიროლთან" კონკურენცია შეუძლია?**

— „ტიროლთან" გამოტოვებული მატჩი 19 თებერვალს გვაქვს სათამაშო და თუ მოვიგეთ, ცხადია, ჩემპიონობის უკეთესი შანსი გვექნება. ლიდერთან სხვაობას შვიდ ქულამდე შევამცირებთ. იქამდე კი, როგორც ვთქვი, მოსამზადებელი პერიოდია. ანთალიიდან რომ დავბრუნდებით, მინი-ფეხბურთში ავსტრიის ჩემპიონატში ვითამაშებთ, თებერვლის დამდეგს კი კვლავ ანთალიას გავემგზავრებით ორკვირიან შეკრებაზე. ვნახოთ, უნდა შევძლოთ „ტიროლის" დამარცხება.

**— თუ არა, ჩემპიონობაზე ხელს ჩაიქნევთ?**

— წლეულს ავსტრიის ბუნდესლიგის მეორეადგილოსანსაც შეეძლება ჩემპიონთა ლიგაში თამაში და ჩვენც ამისთვის ვიბრძოლებთ.

**კობა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვინდა, მაგრამ ვერ გეტყვით...

## უმაღლესი ლიგა წლების გასაყარზე

მეცამეტე ჩემპიონატი ერთი კვირის წინ 2 მარტამდე დაგვემშვიდობა. არდადეგების დაწყება მართლა გადაბმულ ძილს როდი ნიშნავს. უმაღლესი ლიგის ბინადრები ჯერაც საქმეში არიან. ზოგი ისევ ვარჯიშობს, ზოგიც სასურველ მოთამაშეებს დაეძებს. ერთი სიტყვით, რალაც კეთდება.

თორმეტ გუნდში ისეთებიც გამორეულა, რომლებმაც ჯერ არ იციან როდის, სად და რატომ შეიკრიბებიან, თუმც გასაკვირიც არაფერია. ესენი ის გუნდები არიან, რომლებიც სეზონის განახლებამდე ორი კვირით ადრე იწყებენ სამზადისს და ერთი მიზანი აქვთ — ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

გუშინ „სარბიელი" თორმეტივე უმაღლესლიგელის წარმომადგენელს შეეხმიანა. მათ ნაამბობს და სარწმუნო წყაროებიდან შეტყობილსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.



ოთარ გაბელიას (მარჯვნივ) და „მერანის" ხელმძღვანელებს სალაპარაკო ბევრი აქვთ

### ტორპედო

გუნდი შვებულებაშია. ფეხბურთელთა ნაწილი სალორიის ბაზაზე დადის და ინდივიდუალურად ვარჯიშობს. უბრალოდ, ოფლს იღვრენ ბიჭები. კლუბის ხელმძღვანელები და მწვრთნელები ზეგ შეიკრიბებიან, ითათბირებენ და სამოქმედო პროგრამაც იმ შეხვედრაზე დამტკიცდებაო — გვითხრა სატელეფონო საუბრისას რევაზ ძოძუაშვილმა. წამსვლელ-დამრჩენთა და ახალწვეულთა ვინაობაც ამის შემდეგ მკითხეთო — დაამატა მწვრთნელმა.

### ლოკომოტივი

გუნდის ლიდერი გიორგი ანჩაბაძე ბელგიაში გაემგზავრა. ჯერ უცნობია, გადავა თუ არა რკინიგზელთა ნახევარმცველი ახალ კლუბში, მაგრამ ფაქტი ერთია — ანჩაბაძეს „ლოკომოტივის" მხრიდან პრობლემები არ შეექმნება.

კახა ცხადაძე 10 დეკემბრამდე ისევ ავარჯიშებს გუნდს. მერე 7 იანვრამდე დაისვენებენ რკინიგზელები. მწვრთნელის თანხმობით მსურველებს „ბენდელას თასზე" შეუძლიათ ძალების მოსინჯვა. შემდეგ „ლოკომოტივი" სამი კვირით კვიპროსს გაემგზავრება შეკრებაზე, სადაც რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშესაც იახლებს. გუნდში რადიკალური ცვლილებები არაა მოსალოდნელი. ანჩაბაძის გარდა წასვლის სურვილი ჯერჯერობით არავის გამოუთქვამს, თუმც ისიც სათქმელია, რომ რამდენიმე რკინიგზელს უკვე გასჩენია მოსურნე. რა თქმა უნდა, ძირითადად „ლოკომოტივის" კონკურენტები ცდილობენ ვიცე-ჩემპიონის დასუსტებას.

### მერანი

დამსახურებულად ისვენებს ავჭალური გუნდი. სატურნირო ცხრილში ყველაფერი რიგზეა, რასაც ვერ ვიტყვით კლუბში არსებულ ვითარებაზე. კვლავაც გასასტუმრებელია ხელფას-პრემიების ნაწილი. ოთარ გაბელიამ ჯერაც არ იცის, ვინ წავა გუნდიდან და ვინ დაემატება. ბუნებრივია, არც საწვრთნელი პროცესია დამტკიცებული. მოკლედ, მთელი „მერანი" სპონსორის მოლოდინშია, რომელიც მოსკოვიდან უნდა ჩამოვიდეს და თბილისში ერთ კვირაში გამოჩნდეს. ოთარ გაბელია კი ვარჯიშების დაწყებას 15 იანვრიდან აპირებს.

### ბათუმი

ასლან ბალაძე 20 დეკემბრამდე მსუბუქად ავარჯიშებს გუნდს. მერე 20 იანვრამდე არდადეგები იქნება. დასვენებულები 10 დღით ბაკურიანში გაემგზავრებიან. იქიდან მობრუნებულნი კი 3 თებერვალს ბულგარეთისკენ აიღებენ გეზს. ბალაძეს ყველა რგოლში ორი მოთამაშის შემატება სურს, დღევანდელ კონტინგენტს კი ვერ შეველევიო, გვითხრა მწვრთნელმა.

### კოლხეთი

ჩემპიონატი შეწყდა თუ არა, კლუბის თავკაცობამ ფეხბურთელებს კუთვნილი ხელფას-პრემიები დაურიგა და არდადეგებზე გაისტუმრა. 8 იანვარს შეიკრიბება „კოლხეთი", წვრთნა განახლდება და მერე ტრადიციული შეკრების დროც მოაწევს. ფოთელები ბულგარეთში, ნესებრში წავლენ ორი კვირით. სოსო ფილიას ორი-სამი ფეხბურთელი შეუგულებია, მცველები და ნახევარმცველი, მაგრამ როგორც ყველა, არც კოლხთა თავკაცი ამხელს მათ ვინაობას.

### დინამო

3 იანვრამდე „დინამოში" საკადრო ცვლილებებია. კლუბმა 7 ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა და ადმინისტრაციული მუშაკების დათხოვნაც დაიწყო. სამსახურიდან გაუშვეს დიღმის საწვრთნელი ბაზის დირექტორი მურმან ნებიერიძე. დარაჯებიც უსაქმოდ დაუტოვებიათ და „დინამო 2"-ის თავკაცი ჯემალ ჩიმაკაძეც.

„დინამო" მოსამზადებელ ეტაპს იტალიური შეკრებით დაასრულებს, სადაც კვიპროსმოვლილი გაეშურება და „ნორჩას" ზამთრის ტურნირზეც მოსინჯავს ძალას.

### ვიტ ჯორჯია

10 დეკემბრამდე უქმობენ ვიტელები. მერე ვარჯიშები თბილისში, უცხოური შეკრება ერთი, მეორე. ვეტერინართა შესახებ ჯერჯერობით ისაა ცნობილი, რომ გუნდს საგაზაფხულო ეტაპიდან ოლეგ გველესიანი შეუერთდება. დანარჩენი 10 დეკემბრის შემდეგ გვეცოდინება.

### სიონი

ქვემოქართლელების შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ბაზას აშენებენ ბოლნისელები. დანარჩენი უცნობია, თუმც ისიც ცხადია, რომ ადრინდელთან შედარებით, „სიონი" მომზადებას ნაადრევად შეუდგება.

### გურია — სამგურალი

მათი გზა-კვალისა ვერაფერი გავიგეთ. გაურკვეველი ვადით შვებულებაში რომ გაუშვეს მხოლოდ ეს ვიცით.

### მეტალურგი

კვირას იკრიბებიან ზესტაფონური გუნდის თავკაცები. დაილაპარაკებენ და თუ ყველაფერი კარგად აეწყო, 15 იანვარს მოსამზადებელი ეტაპიც დაიწყება.

### გორდა

ბევრი რამ რუსთავშიც გაურკვეველია. დანამდვილებით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ თენგიზ კაცია ვარჯიშებს 15 დეკემბრიდან განაახლებს.

**მამუკა ქვანტალიანი**



გიორგი ანჩაბაძე (№26) ბელგიის გზას დაადგა


"მაგთი GSM"
2001 წლის 30 დეკემბერს
ზ. ფალიაშვილის სახ. "ოპერისა და ბალეტის" სახელმწიფო აკადემიურ თეატრში
წარმოგიდგენთ: ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიას "რაინდები".
ორგანიზატორები:
"საქართველოს ტელე-რადიო კორპორაცია",
სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი. შ.პ.ს. "ვერიტა".
საინფორმაციო მხარდაჭერა:
სარბიელი
გენერალური სპონსორი
მაგთი MAGTI GSM
დას. 18.00 სთ-ზე.



ანკეტა

დამოუკიდებელი საქართველოს, ყველაზე პოპულარული სპორტის ათი სახეობა, ათი საუკეთესო სპორტსმენი.

| სახეობები: | სპორტსმენები: |
|---|---|
| 1. | 1. |
| 2. | 2. |
| 3. | 3. |
| 4. | 4. |
| 5. | 5. |
| 6. | 6. |
| 7. | 7. |
| 8. | 8. |
| 9. | 9. |
| 10. | 10. |

ათწლეულის საუკეთესო გუნდი:

გვარი
სახელი
ასაკი

საკონტაქტო ტელეფონი: 99 56 14
მობ: 8 99 17 84 44
E-mail: gazeti_lelo@hotmail.com



სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა
გულის დაავადებების თანამედროვე სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა
- კვალიფიციურ კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგური და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგური ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)
☎ 53-73-00; 95-00-33



იყიდება
ერთოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა
ვაზისუბნის IV მ/რ. II კვ. მე-5 სართული
ტელ: 75 99 49

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ევროპული ქვიშა ამერიკულ ყორანს ათეთრებს

4 დეკემბერი

**კლიპერსი 87:83 მაიამი**

**კლიპერსი: მაკინისი (8), მეჯიტი (8), ოდომი (13), ბრენდი (23 ქულა, 17 მოხსნა), ოლოუოკანდი (11 ქულა, 9 მოხსნა, 6 დაფარება); რიჩარდსონი (19), რუქსი (3), მაილზი (2), ბოიკინსი**

**მაიამი: კარტერი (3), პაუსი (2), ელისი (8), გრანტი (8), მურნინგი (21); ჯეკსონი (14), გეტლინგი (13), სტრიკლენდი (7), მეკი (7)**

„მაიამი ჰითმა" ერთხელაც წააგო, ამჯერად სტუმრად ლოს ანჯელესში იქაურ „კლიპერსთან". ფლორიდელთა ქართველ ცენტრს, ვოვა სტეფანიას არ უთამაშია, მწვრთნელმა პატ რაილიმ საჭიროდ არ ჩათვალა ჩვენებურის მოედანზე შეშვება, თავად კი ოცწლიან კარიერაში პირველად წააგო ზედიზედ მე-12 მატჩი. პლეი ოფებამდე ჯერ კარგა შორია, მაგრამ მაინც ვიტყვით — „მაიამი" იქ, ალბათ, ვერ მოხვდება. ეს სხვებზე მეტად რაილის დასწყვეტს გულს, რამეთუ მისი გუნდი აქამდე არასდროს დარჩენილა პლეი ოფს მიღმა.

მაიამელებმა კლიპერსული მარცხი შესაძლოა პირველი მექულის, ედი ჯონსია მუხლის ტრავმას დააბრალონ. ჩვენ კი შევნიშნოთ, რომ „ჰითმა" წააგო მიუხედავად იმისა, რომ დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული თავდამსხმელი ბრაიან გრანტი. ამასთან, შედგა ჯონსისავე ამპლუის მოთამაშის, ჯიმ ჯეკსონის დებიუტი. ჯეკსონმა, რომელიც „ჰითის" მაისურათი პირველ შეხვედრას ატარებდა, თითქოს თავი არ შეირცხვინა, 14 ქულა შეაშველა წამებულ „მაიამის" და ახალ თანაგუნდელთაგან მხოლოდ ალონზო მურნინგს ჩამორჩა. თუმც ჯიმმა გადამწყვეტ მომენტში ვერ ივარგა. დამთავრებამდე ექვსი წამით ადრე ორნახევარი მეტრიდან რომ ჩაეგდო, 85:85 გახდებოდა, მერე კი ვინ იცის...

„მაიამი" ტრადიციულად ბოლო მეოთხედში დანებდა მეტოქეს, ეს თორმეტწუთეული 13:20 დათმო.

**სან ანტონიო 103:88 ვაშინგტონი**

**სან ანტონიო: დანიელსი (15)**
**ვაშინგტონი: ჰამილტონი (24)**

**საკრამენტო 94:84 ფილადელფია**

**საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (20 ქულა, 12 მოხსნა), თურქოღლუ (15)**
**ფილადელფია: აივერსონი (24), კოულმენი (15), მუტომბო (10 ქულა, 13 მოხსნა, 6 დაფარება)**

**ჩიკაგო 103:75 ჰიუსტონი**

**ჩიკაგო: მერსერი (22), ფიზერი (17)**
**ჰიუსტონი: ნორისი (12)**

**კლივლენდი 100:88 დეტროიტი**

**კლივლენდი: მილერი (34 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა)**
**დეტროიტი: უილიამსონი (19), რობინსონი (17)**

**მინესოტა 108:83 სიეტლი**

**მინესოტა: გარნეტი (21 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი), შჩერბიაკი (20)**
**სიეტლი: ლუისი (17), პეიტონი (15)**

**მილუოკი 71:85 ნიუ იორკი**

**მილუოკი: რობინსონი (24)**
**ნიუ იორკი: სპრიუელი (28), ჰიუსტონი (22)**

**იუტა 104:100 შარლოტი**

**იუტა: მელოუნი (22), სტოქტონი (19), კირილენკო (19)**
**შარლოტი: დევისი (21 ქულა, 11 პასი), მაშბერნი (19), ვესლი (17)**

**ინდიანა 104:96 დენვერი**

**ინდიანა: როუზი (25 ქულა, 10 მოხსნა), ონილი (23 ქულა, 12 მოხსნა)**
**დენვერი: ვან ექსელი (30 ქულა, 10 პასი), ლენარდი (20)**

4 დეკემბერს „მაიამი ჰითი" სრულიად ნბა-ს ცხრილის ფსკერზე მარტოდმარტო დარჩა. მასთან შეამხანაგებულმა „ჩიკაგო ბულზმა" (ორივეს ორ-ორი მოგება ჰქონდა 14 მატჩში, სტეფანიას გუნდის ლოსანჯელესური მარცხით ისარგებლა და შინ „ჰიუსტონი" გაანადგურა. ყველა საკუთარ თავს შველის, „მაიამის" კი მხსნელი არა და არ გამოუჩნდა...

„საკრამენტო კინგზი" ლიდერ კრის ვებერის არყოფნას არ იმჩნევს და მხნედ მიაბიჯებს წინ. გუშინწინ „მეფეებმა" ვიცე-ჩემპიონი „ფილადელფია" გაამწარეს და ჩემპიონ „ლეიკერსთან" ორთაბრძოლის წინ გული გაიმაგრეს.

ვებერის მოვალეობას ევროპელი, კერძოდ, იუგოსლავიელი პრედრაგ სტოიაკოვიჩი ასრულებს და უნარიანადაც. თუ მან ასე გააგრძელა, უცილობლად ასცდება ცნობილ დრაჟენ პეტროვიჩის მიერ ნბაელ ევროპელთათვის დაწესებულ ზედა ზღვარს — მატჩში საშუალოდ 22,0 ქულას. „ფილადელფიას" სტოიაკოვიჩმა ოცი ქულა ჩაუგდო. თავი არც ბებერი კონტინენტის სხვა საუკეთესო შვილებმა შეირცხვინეს — პრედრაგის თანამემამულემ, ვლადე დივაცმა (11 ქულა) და თურქმა ჰიდაიეთ თურქოღლუმ (15 ქულა).

კლივლენდში ადგილობრივმა „კავალერიამ" „დეტროიტ პისტონზი" გადათელა, რაშიც ლომის წილი დაიდო მასპინძელთა გამთამაშებელმა ანდრე მილერმა. ამ ყმაწვილმა, ალბათ, კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა — 34 ქულა მისი პირადი რეკორდია. თუმც ჩაუქი ზანგი ჯეელის გაბრწყინება გააფერმკრთალა, უფრო ზუსტად, სრულიად დაჩრდილა თანაგუნდელ ჟიდრუნას ილგაუსკასის დაბრუნებამ. ტომით ლიტველ, ამპლუით ცენტრ და 221-სანტიმეტრიან ილგაუსკასს მარცხენა ტერფმა სიცოცხლე გაუმწარა, რაც ნბა-შია (1996 წლიდან), ხუთი ოპერაცია გაიკეთა და რა გასაკვირია, თუ ბოლო სამ წელიწადში თავისიანთა 246 მატჩიდან 217 გამოტოვა. იგი შესანიშნავი კალათბურთელია და „კლივლენდი" მასთან ერთად, ჩვეულებრივ, თამაშების ნახევარზე მეტს იგებს. სადებიუტო შეხვედრაში მან აჯობა დეტროიტელ ოპონენტს, იუგოსლაველ ჟელკო რებრაჩას და მართალია, 11 ქულას დასჯერდა, სამაგიეროდ, კლივლენდელ ქომაგთა გულები უკეთესი მომავლის რწმენით ალავსო.



კლივლენდი — დეტროიტი. კლივლენდელმა ჟიდრუნას ილგაუსკასმა ჟელკო რებრაჩას დააფარა

REUTERS კლივლენდელებთან

არანაკლებ გაახარა ქომაგები „იუტას" ახალბედა თავდამსხმელმა, რუსმა ანდრეი კირილენკომ, რომელმაც „შარლოტს" 19 ქულა ჩაუგდო და მეტოქეთა ხუთ სროლას დააფარა (ორივე სეზონის და ამავდროულად, კარიერის რეკორდია). ამ პერსპექტიული ყმაწვილის შემხედვარე სოლტლეიკელი კალათბურთის მოყვარულნი შედარებით იოლად შეეგუებიან თავიანთი ჯილის, კარლ მელოუნის სიბერეს.

სან ანტონიოში ჩასულმა ვაშინგტონელმა „ჯადოქრებმა" ნამდვილი ჯადოქარი, მაიკლ ჯორდანი მოისაკლისეს და ცხადია, წააგეს იქაურ „სპურზთან". სტუმრებს ყველაზე მეტად აწყენინა 19 წლის ფრანგმა გამთამაშებელმა ტონი პარკერმა, რომელმაც, მართალია, ოდენ 12 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ მასპინძელთა შეტევების კარგი ორგანიზატორი იყო და მესამე მეოთხედში „სპურზის" გაქცევასაც უხელმძღვანელა.

**ირაკლი ფირცხალავა**

# მწვრთნელი ნაცარქექიაც უნდა იყოს

## ამდენ ბაყბაყდევს რა გაუძლებს

**ეროვნულმა** საკალათბურთო ასოციაციამ შაკილ ონილი შვიდნახევარი ათასი დოლარით დააჯარიმა მსაჯის შეურაცხყოფისა და მისი გადაწყვეტილების არად ჩაგდებისთვის. „ლეიკერსის" ცენტრი ორშაბათს „სიეტლთან" შეხვედრის პირველ მეოთხედში არბიტრს აუხირდა, ტყუილად დამაჯარიმეო. მსაჯმა, სახელად ბობ დილანიმ, აბეზარი გოლიათის დაშოშმინება საკალათბურთო ყვითელი ბარათებით, ტექნიკურებით გადაწყვიტა და შაკი გაძევებით დასაჯა. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, დასჯილი მოთამაშეები თავისი ნებით, თვინიერად ტოვებენ მოედანს, მაგრამ შაკილი გაჯიუტდა და არაფრით ემორჩილებოდა მსაჯის გადაწყვეტილებას. ბოლოს საქმეში მისი დამრიგებელი ფილ ჯეკსონი ჩაერია, გაოჩნებულმა შაკმა ინება გაბრძანება და თამაშიც განახლდა.

არც შემდეგ დაწყნარებულა, გამოგონილი ჯარიმა იყო, იმ დროს არავის შევხებივარო, უთქვამს მეორე დღეს. ალიარა თუ არა ონილმა დანაშაული, ეს ნბა-ს სადისციპლინო კომიტეტის წევრგამგებლებს ნაკლებად აინტერესებდათ. ჰოდა, ლიგამ შაკს ჯიბეც შეუმსუბუქა. ისე, ონილი ფულს არ მისტირის, კაპიკებიაო, გაიძახის და არც სინდისი ქენჯნის, უმისოდ დარჩენილ „ლეიკერსს" ხომ შეიძლებოდა წაეგო („ლეიკერსმა" ის თამაში 107:92 მოიგო)? ონილს ყველაზე მეტად ის აწუხებს, რომ ნაადრევად გაგდებულმა ათი ქულის გაკეთებაც ვერ მოასწრო, რითაც გაწყდა 144-მატჩიანი ჯაჭვი, რომლებშიც იგი მინიმუმ ათ ქულას აგროვებდა.



გაჯიქებული შაკილ ონილი მოედნიდან ძლივს გაიყვანეს

ლიგამ ასევე 7,5 ათასით დააჯარიმა „ჩიკაგო ბულზის" ცენტრი ბრედ მილერი. მას შაბათს „ფილადელფიასთან" წაგებულ შეხვედრაში ნერვებმა უღალატა. გაგულისებულმა იმით, რომ მისმა გუნდმა ბოლო მეოთხედში შვიდჯერ დაკარგა ბურთი და 12 წუთში ცხრა ქულის მეტი ვერ მოიმკო, მოედნის კიდეზე მდგარ სკამს ფეხი ამოარტყა. სკამი იქვე, პირველ რიგში მჯდომ გულშემატკივარს მოხვდა. მილერის საბედნიეროდ, იგი არ დაშავებულა, თორემ ჩიკაგოელს შვიდიათასიანი ჯარიმა სანატრელი ექნებოდა.

## თვის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი

ჯეისონ კიდი
• ნიუ ჯერსი •



### დასავლეთი

კობი ბრაიანტი
• ლეიკერსი •



**კვირის** მოთამაშის ტიტულის დარად, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ თვის მოთამაშის წოდებაც ორად გაყო და ამიტომ ნოემბერს ორი რჩეული ჰყავს — აღმოსავლეთში „ნიუ ჯერსის" გამთამაშებელი ჯეისონ კიდი და დასავლეთში „ლეიკერსის" მსროლელი კობი ბრაიანტი. ორივეზე ალალია ეს ტიტული.

ჯეისონ კიდი ერთი თვეა, „ნიუ ჯერსის" მეტოქეთა მეტოქე და ამ გუნდის უპირობო ლიდერია. მისი მეთაურობით „ნეთსმა" ქვესაშუალოებიდან ზესაშუალოებში აინაცვლა. კიდმა ნოემბერში 15 შეხვედრიდან „ბადეებს" 10 მოაგებინა და ატლანტიკის დივიზიონში პირველ ადგილზე ალაზევა. „ნიუ ჯერსის" არსებობის მანძილზე არ დაუწყია სეზონი ასე კარგად. თავად კიდის მონაგარი კი მატჩში საშუალოდ 13,3 ქულას, 9,6 მოხსნასა და 7,6 პასს შეადგენს.

თუ კიდის „ნიუ ჯერსი" ატლანტიკაში პირველია, კობი ბრაიანტის „ლეიკერსს" სრულიად ნბა-ში არ მოეძებნება ბადალი. „ლეიკერსმა" ნოემბერში გამართული 15 მატჩიდან 14 მოიგო და უახლოეს მდევარს, „სან ანტონიო სპურზს" ბევრად უსწრებს. ბრაიანტმა ნოემბრის თამაშებში საშუალოდ 5,7 მოხსნასა და 6,5 პასთან ერთად 27,6 ქულაც მოინაგრა და ბომბარდირთა დავასაც ამაყად ლიდერობს.

ნოემბერმა „ლეიკერსი" სხვა მხრივაც დააჯილდოვა. ლოსანჯელესელთა დამრიგებელი ფილ ჯეკსონი კოლეგათა შორის საუკეთესოდ დასახელდა.



# პატრას პატარა სიდნეია

## მსოფლიოს ჩემპიონატს ქართველები შეჩვეულ ხალიჩაზე იწყებენ

**მსოფლიოს** ჩემპიონატზე წარმატება რა ძნელი საქმეა, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როდესაც თავისუფალი სტილით მოჭიდავეები სოფიაში ერთადერთ ბრინჯაოს შესწვდნენ. ეგებ ვინმესთვის ესეც წარმატება იყოს, მაგრამ არა ქართული საჭიდაო სკოლისთვის. ყოველ შემთხვევაში, ადრე ასე იყო.

ამჯერად უმთავრესი გამოცდა „ბერძენ-რომაელებმა" უნდა ჩააბარონ. იმედია, ისინი „თავისუფალთა" დანაკლისს აანაზღაურებენ, მით უმეტეს, რომ მოსამზადებელ პერიოდში მათ ძალიან გაუმართლათ. ბორჯომში ორკვირიანი შეკრების შემდეგ ქართველი ფალავნები მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლებმა თავისთან სპარინგ-პარტნიორებად მიიწვიეს. საბერძნეთში უმთავრეს ასპარეზობამდე ორი კვირით ადრე მომზადებაზე უკეთესს ვერც ინატრებდნენ.

მსოფლიოს პირველობა დღეს იწყება და 9 დეკემბერს დასრულდება. მასპინძელი ქალაქი პატრაა, სადაც ფალავანთა ხალიჩა დიმიტრიოს ტოფალოსის ათლეტთა ეროვნულ ცენტრშია დაგებული. აქედანვე უნდა ითქვას, რომ იოლად გასეირნება არავის ელის. შეგვიძლია, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა 46-ე მსოფლიოს ჩემპიონატი „პატარა ოლიმპიადად" შევრაცხოთ, რამეთუ საბერძნეთში თავი მოიყარა სიდნეის ოლიმპიადის 16-მა პრიზიორმა (24-დან). აქედან ოთხი — არმენ ნაზარიანი (სომხეთი), ფილიბერტო ასკუი (კუბა), ჰამზა ერლიკაია (თურქეთი) და რულონ გარდნერი (აშშ) სულაც ჩემპიონები არიან. ვერცხლის მედალოსნები კი უფრო მეტნი შეიყრებიან, შვიდნი. მათ შორის ერთ-ერთი უკრაინის სახელით მოასპარეზე დავით სალდაძეა, დანარჩენები ბრინჯაოსნები არიან. აქედან ორი საქართველოს გუნდის წარმომადგენელია — აკაკი ჩაჩუა (63 კგ) და მუხრან ვახტანგაძე (85 კგ). რაკი სიტყვა ქართველ ფალავნებზე ჩამოვარდა, შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ხალიჩაზე იასპარეზებენ: ვაჟა ომანიძე (54 კგ), წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ირაკლი ჭოჭუა (58 კგ), იმავე ჩემპიონატის გამარჯვებული ალექსანდრე დოხტურიშვილი (69 კგ), გიორგი ჯინჭველაშვილი (76 კგ), გენადი ჩხაიძე (97 კგ). რაც შეეხება მძიმე წონას, აქ ორი კანდიდატი იყო — გიორგი წურწუმია და მირიან გიორგაძე. რომელს ვიხილავდით ხალიჩაზე, ეს მწვრთნელებს პატრაში უნდა გადაეწყვიტათ.

დღეს პირველი წრის შეხვედრებში 54, 63, 76 და 97 კილოგრამი წონის ფალავნები იჭიდავებენ.

ხვალ მათ დანარჩენებიც შეუერთდებიან. ერთი რამ კი ფაქტია, მსოფლიოს პირველობაზე არაერთ უშელავათო ბრძოლას ვიხილავთ. ამ მხრივ აღსანიშნავია 69 და 85 კილოგრამი წონითი კატეგორიები. აქ ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევა მოუწევთ სიდნეის ოლიმპიური თამაშების ექვს პრიზიორსა და საუკეთესო ათეულში მოხვედრილ მოჭიდავეთა უმეტესობას. მთლიანობაში კი ბევრმა ქვეყანამ გუნდები, ასე ვთქვათ, ძირითადი შემადგენლობით დააკომპლექტა, ზოგმაც 46-ე მსოფლიოს ჩემპიონატი 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისად გამოიყენა და ამიტომ ცნობილი და ძლიერი ფალავნების ნაცვლად გუნდში ახალბედებს უხმო, ისევე როგორც ეს გააკეთეს რუსებმა. მათ ორის გარდა საბერძნეთში ნაკლებ გამორჩეული მოჭიდავეები იახლეს, თურქებმა კი პირიქით, იქ უძლიერესი ფალავნები გაამგზავრეს. ნუ დაგვავიწყდება ამერიკისა და უნგრეთის ძლიერი გუნდებიც.

ერთი სიტყვით, ყველა მათგანი მსოფლიოს პირველობას მეტ წონას მატებს.

**გიგა გურასპაშვილი**

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS

ეს დაკა-დაკა ნიუიორკელ სტივ მაკენას (მარცხნივ) და ვაშინგტონელ სტივენ პიტს ხუთწუთიან გაძევებად დაუჯდათ

4 დეკემბერი

**ატლანტა 2:3 ბოსტონი (0:0 2:1 0:2)**
1:0 ჰიტლი 26(9), 2:0 კოვალჩუკი 33(11), 2:1 როლსტონი 40(12), 2:2 გერინი 44(10), 2:3 გერინი 44(11)

**ტორონტო 0:1 პიტსბურგი (0:1 0:0 0:0)**
0:1 ლანგი 18(8)

**ვაშინგტონი 5:2 რეინჯერსი (2:0 2:1 1:1)**
1:0 დალინი 7(12), 2:0 საიმონი 16(4), 2:1 ლინდროსი 22(14), 3:1 ბონდრა 34(18), 4:1 ბონდრა 36(19), 4:2 ნედვედი 50(7), 5:2 ზუბრუსი 57(3)

**აილენდერსი 2:3 ფილადელფია (1:0 1:2 0:1)**
1:0 პერიში 20(17), 1:1 რენიკი 26(5), 1:2 განიე 37(12), 2:2 ბლეიკი 98(2), 2:3 პრიმო 53(3)

**სან ხოსე 2:2 კალგარი (1:1 0:1 1:0 0:0)**
1:0 სელიანე 6(10), 1:1 ლუდმანი 18(1), 1:2 კონროი 31(10), 2:2 სუნდსტრიომი 42(5)

**კაროლინა 2:4 ბუფალო (1:2 1:0 0:2)**
1:0 კაპანენი 5(15), 1:1 რასმუსენი 8(2), 1:2 დიუმონი 17(12), 2:2 ფრენსისი 33(5), 2:3 დიუმონი 42(13), 2:4 რასმუსენი 46(3)

**ნიუ ჯერსი 1:1 ტამპა (0:0 0:1 1:0 0:0)**
0:1 მოდინი 33(7), 1:1 პოლიკი 52(10)

## თვის მოთამაშე

### ჯერომ იგინლა (კალგარი)



**მიუხედავად** იმისა, რომ კალგარელი ჯერომ იგინლა ნოემბერში შედეგიანობით (18 ქულა) მხოლოდ მეოთხე იყო და მას ერთბაშად სამმა რეინჯერმა გაასწრო, ნჰლ-ის მესვეურთა რჩეული მაინც „ალბერტის" 24 წლის ლიდერი გახდა და არცთუ უსაფუძვლოდ. ჯერ ერთი, იგინლამ გოლების რაოდენობით (12) გაუსწრო კონკურენტებს, მეორეც, სწორედ ოქტომბერ-ნოემბრის მიჯნაზე გამართა მან არაჩვეულებრივი 15-მატჩიანი სერია, რომლის განმავლობაშიც 18 გოლი (!) და 13 პასი მიითვალა. თანაც ამ 15 მატჩიდან 9 სწორედ ნოემბერში ჩაატარა. მართალია, ამის შემდეგ ოდნავ შეფერხდა, მაგრამ კოლორადოსთან უმძიმესი თამაშისას თვე შთამბეჭდავი დუბლით დაასრულა. სადღეისოდ ჯერომი ერთბაშად ოთხ ნომინაციაში ლიდერობს — 39 ქულით, 22 გოლით, რიცხვმრავლობაში მოპოვებული 9 გოლითა და 16 ქულით. თუმც საქმე მარტო ციფრებში როდია. იმავე ფლერი-ლინდროსი-იორკის სამეულთან შედარებით, სადაც ყველას დაახლოებით თანაბარი წვლილი აქვს, იგინლა გუნდის და თავისი სამეულის უეჭველი ლიდერი და სულისჩამდგმელია. კალგარი ხშირად სწორედ ბოლო წუთებზე ახერხებს თამაშის გადარჩენას. ისეც ხდება, რომ ამ დროს მოგებასაც გამოჰგლეჯს ხოლმე მეტოქეს. ამ ყველაფერში კი მუდამ იგინლას ხელი ურევია.

## თვის ახალბედა

### კრისტოფ კოლანოსი (ფინიქსი)



**ფინიქსის** მფლობელმა უეინ გრეცკიმ კარდინალური ცვლილებები რომ დაიწყო, მთავარ პრიორიტეტად გუნდის გაახალგაზრდავება მიიჩნია, რითაც იგი უფრო სწრაფი და მობილური გახდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სეზონში „კოიოტების" პერსპექტივებს ბევრი პესიმისტურად უყურებდა, გუნდმა საკმაოდ კარგად დაიწყო და სადღეისოდ მოსალოდნელზე გაცილებით მაღალ ადგილს შესწვდა. ყველაფერი ეს, ვფიქრობთ, გუნდში არსებულ ჯანსაღ ატმოსფეროს უნდა მივაწეროთ. უკლებლივ ყველა მოთამაშეს მიეცა თავის გამოჩენის შანსი და ძალიან სასიამოვნოა, რომ გუნდის მესვეურთა ეს ნდობა ყველაზე ახალგაზრდამ, 20 წლის ფორვარდმა კრისტოფ კოლანოსმაც გაამართლა. ოქტომბრის ლაურეატ ფლორიდელ კრისტიან ჰუსელაუსთან (9 გოლი 11 მატჩში) შედარებით, ფინიქსელის 9(5+4) ქულა 14 მატჩში ეგებ არც ისე შთამბეჭდავად მოგეჩვენოთ, მაგრამ აი, რაშია საქმე — კოლანოსი სწორედ იმ მოთამაშეთა ტიპს მიეკუთვნება, რომელთაც შეუძლიათ, გადამწყვეტ მომენტში გამოიჩინონ თავი. მისი 4 გამარჯვების გოლიც ამაზე მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ 2000 წლის დრაფტის მე-19 ნომერი კოლანოსი „+9" ნაყოფიერების კოეფიციენტითაც ლიდერობს ახალბედათა შორის. ამაში მას ატლანტელები — დანი ჰიტლი და ილია კოვალჩუკი, აგრეთვე მინესოტელი პასკალ დიუპუი ეცილებოდნენ.



ცოცხალი კვირა ფორმულაში

# რალფ შუმახერი ვიდეოპატრულში მოხვდა

## აქ, რა, პროფილაქტიკაა, ძმაო...

FORMULA 1

**ფორმულა 1-ის** სივრცეში ეს დღეები ორი ხმაურიანი ამბით აღინიშნა — რალფ შუმახერის ავარიითა და ვინსენტ მალეტის ხულიგნობით. პირველი ვინცაა, მოგეხსენებათ. მას სულ უფრო ნაკლებად იხსენიებენ, მიხაელ შუმახერის უმცროს ძმად, წლევანდელ სეზონში საკუთარი მიღწევებიც ბლომად დაუგროვდა.

რალფი ცინცხალი „ბე-ემ-ვეთი" კერპენში მიდიოდა ესენიდან, რათა იქ ძმა და მამა მოენახულებინა და A3 ავტოსტრადის კიოლნის მონაკვეთზე ვილაც-ვილაცეებს დაეჯახა. დაზარალდა სამი მანქანა, შეილანძა რალფის რკინის მერანიც, თავად პილოტს კი არაფერი მოსვლია. მან გზა იგივე მანქანით განაგრძო.

პოლიციამ ჩვენებები ჩამოართვა დაზარალებულებს, მაგრამ ჯერ უცნობია, პლანეტის საუკეთესო მძღოლთაგანს რა სასჯელი დაედება, ხოლო თითქმის ამავდროულად ინდოჩინეთის ცაში თავდავიწყების წამები ჰქონდა ვინსენტ მალეტს, თუმცა რაღა წამები: მის დაშოშმინებას ნახევარი საათი დასჭირდა.

ფორმულა 1-ის უბრალო მაყურებლებმა შეიძლება არ იცოდნენ, მაგრამ საბოლოდო სპორტში ღრმად ჩახედულებს მოეხსენებათ, რომ მალეტი უბრალო კაცი როდია, „მაკლარენის" მთავარი მექანიკოსი გახლდათ. დიახ, ამას წარსულ დროში ვამბობთ იმიტომ, რომ „მაკლარენის" წარმომადგენელმა შემდეგი განაცხადა: „საქმის ყურადღებით შესწავლის შემდეგ გადავწყვიტეთ, დაუყოვნებლივ გაგვეწყვიტა მალეტთან კონტრაქტი".

საქმე კი თურმე ასე იყო: ტაბლოიდ „სანის" ცნობით, ტაილანდის ქალაქ თუკეტიდან აფრენილ თვითმფრინავში მალეტი უაღრესად უწესოდ მოიქცა, თავს ესხმოდა მგზავრებს, ყინულის კუბებს სალონში ფანტავდა და პილოტების კაბინაში შეჭრაც დააპირა, რის გამოც ეკიპაჟმა ბანგკოკში იძულებითი დაშვება მოახდინა. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ტაილანდურმა ავიაკომპანიამ „ტაი ეარლაინზმა" აიღო, რომლის წარმომადგენელმა დაწვრილებით აღწერა მალეტის საქმენი საგმირონი.

„მალეტი სვამდა ვისკის — თქვა პატიოსანმა კაცმა — მგზავრებს თავსა და ცხვირპირში ურტყამდა, ხმამაღლა იგინებოდა და ხალხს აშინებდა, დალევა კიდევ რომ მოუნდა, კამბუზისკენ წავიდა და მთელი ყინული მიმოაბნია".

მსოფლიოს უმუშევართა დიდი არმია ერთი კაცით შეივსო.

**დავით გულუა**



რალფ შუმახერს ბედმა გაუღიმა



## საქართველოს მე-12 ჩემპიონატი ვაჟები

**საქართველოს** ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტდარბაზში გუშინ უკვე ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა: ორივე შეხვედრაში ბოლომდე ძნელი იყო გამარჯვებულის გამოცნობა.

„თბილისმა" მედგარი წინააღმდეგობა გაუწია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გუნდს — კარგა ხანს სხვაობა ერთ-ორ ბურთს არ ასცილებია. შესვენების შემდეგ „მამულმა" იძალა და ზედიზედ რამდენიმე შედეგიანი შეტევის წყალობით შუა ტაიმში შვიდი ბურთით გავიდა წინ — 23:16. „თბილისმა" ანგარიშში სხვაობის შემცირება კი მოახერხა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც „მამულს" დარჩა. მათ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უდავოდ პერსპექტიულმა მეკარე გიორგი რობაქიძემ, რომელმაც რამდენიმე მართლაც „მკვდარი" ბურთი მოიგერია, აგრეთვე თავდამსხმელმა გიორგი ზაქარეიშვილმა — მისი რვა ტყორცნა შედეგიანი აღმოჩნდა.

უფრო დაძაბული გამოდგა „მართვესა" და დებიუტანტ „გლდანის" დაპირისპირება. გლდანელები შესამჩნევად გამლიერდნენ მას შემდეგ, რაც „სტუ-შევარდენიდან" მათთან ჩვენი ერთ-ერთი წამყვანი ხელბურთელი ალეკო ბოყონაძე გადავიდა. ტაიმი დებიუტანტებმა მოიგეს — 18:16, მაგრამ შესვენების შემდეგ მათი მეტოქეები გააქტიურდნენ და ხუთწუთიან მონაკვეთში ზედიზედ სამი უპასუხო გოლით თავად დაწინაურდნენ — 19:18. თუმცა თამაშის ბოლოს კვლავ ძინა თავი მართვეების გამოუცდელობამ. ბოყონაძემ თავის ანგარიშზე 13 გოლი მოითვალა, მართვეებიდან კი ყველაზე შედეგიანი აკაკი ტალახაძე (11) გახდა.

დღის მესამე მატჩი არ შედგა იმის გამო, რომ რამდენიმე ცეროელი ავად გამხდარა და ტექნიკოსებს ტექნიკური გამარჯვება (10:0) ჩაეთვალათ.

**გლდანი 35:34 მართვე**
**საუ-მამული 26:23 თბილისი**
**სტუ-შევარდენი 10:0 ცერო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 8 | 8 | 0 | 0 | 286:179 | 24 |
| საუ-მამული | 8 | 7 | 0 | 1 | 240:209 | 21 |
| თბილისი | 8 | 5 | 0 | 3 | 225:210 | 15 |
| მართვე | 8 | 2 | 0 | 6 | 224:247 | 6 |
| გლდანი | 8 | 2 | 0 | 6 | 180:237 | 6 |
| ცერო | 8 | 0 | 0 | 8 | 200:273 | 0 |



## ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატი. მოსკოვი (რუსეთი)

# კასპაროვი კლასიკოსია, კრამნიკს ბლიცი ჰყვარებია

**როცა** ფიდე-ს მსოფლიოს ჩემპიონატზე ანტრაქტია და 16 ვაჟი და 8 ქალი მნიშვნელოვანი პარტიების წინ მოსკოვური ლანდშაფტების ჭვრეტით ისვენებს, დედამიწის ორმა უძლიერესმა მოჭადრაკემ მიხაილ ბოტვინიკის ხსოვნის პატივისცემა განაგრძო, რაც კიდევ ერთი, რიგით მე-3 პარტიის თამაშით გამოიხატა.

მეორე პარტიის 72-სვლიანი ჯაფის შემდეგ გარი კასპაროვმა და ვლადიმირ კრამნიკმა ერთი დღე დაისვენეს და გაითამაშეს ლაზიერის გამბიტის ის ვარიანტი, რომელსაც კასპაროვი კორჩნოის წინააღმდეგ 18 წლის წინ იყენებდა. ბრძოლა იყო მოსალოდნელი და ჭადრაკის გურმანი საზოგადოება ხელებს იფშვნეტდა. დარბაზში ბევრი ცნობილი პერსონა იყო: რუსეთის დუმის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჟუკოვი, ვინც თურმე ჭადრაკში ერთობ ერკვევა, დიდოსტატები — გულკო, რაზუვაევი, ზაიცევი და ასე შემდეგ. ზურაბ აზმაიფარაშვილმაც ბორის გელფანდთან მერვედფინალის უმძიმესი მეორე პარტიის წინადღეს საჭადრაკო კლასის ყურება არჩია. მოკლედ, ხალხი სანახაობას ელოდა, მაგრამ კინო მალე მორჩა და სახლებში წასვლამ მოუწიათ.

გამარჯვებისთვის, ცხადია, კრამნიკს უნდა ებრძოლა, რომელიც თეთრებით თამაშობდა. „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის" მსოფლიოს ჩემპიონატზე თეორიას პირველად მე-15 სვლაზე უგანა, როცა მისმა კუმ B1 უჯრისკენ დაიხია და შავი მეფის ფრთას მიზანი არ მოაშორა. კასპაროვმა დამაჯერებლად გაათანაბრა თამაში და კრამნიკის საპროგრამო გარღვევა (ცენტრალური პაიკით) ფუჭი გამოდგა. 22-ე სვლაზე კასპაროვმა ზავის სურვილი გამოთქვა და კრამნიკიც დათანხმდა.

ანგარიში კვლავ თანაბარია 1,5-1,5 და კლასიკური ჭადრაკის ბოლო პარტიაში კასპაროვს მცირე უპირატესობა, ანუ თეთრი ფერი აქვს.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა კრამნიკს ჰკითხეს, თეთრებით ნათამაშევ შენს ორივე პარტიაში სწრაფი ყაიმი იყო და რატომ ხარ ასე მშვიდობიანად განწყობილიო. პასუხი შემდეგი იყო: „არავითარ მშვიდობაზე ჩემი მხრიდან საუბარი არ არის, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჩემი მეტოქე დებიუტში უკეთაა მომზადებული... მესამე პარტიაში მე განვიხილავდი ხარისხის შეწირვის შესაძლებლობასაც, მაგრამ ბოლომდე ვერაფრით დავრწმუნდი, რომ გართულებები თეთრების სასარგებლოდ მოხდებოდა".

„სამი ტიპის ორთაბრძოლებიდან — განაგრძო კრამნიკმა — მე ყველაზე მეტი ინტერესით ბლიცს ველოდები. ვფიქრობ, ეს იქნება ყველაზე საინტერესო ხალხისთვის და მეც ძალიან მიყვარს ბლიცის თამაში".

კასპაროვი: „საერთოდ, შავები კმაყოფილები უნდა იყვნენ, თუ პოზიცია გაათანაბრეს. მე ეს შევძელი. ხარისხის შეწირვა თეთრების მხრიდან შესაძლებელია, მაგრამ შავებს მისი მიღება სულ არ ევალებათ. ამ პარტიაში გართულებებიც თეთრებისთვის ხელსაყრელი როდი იყო.

ცხადია, ჩემთვის მთავარი მუდამ კლასიკური ჭადრაკია, თუმცა თანამედროვე ჭადრაკში საუკეთესო მოჭადრაკემ ყველგან მაღალი დონე უნდა უჩვენოს — კლასიკში, სწრაფში და ბლიცშიც".

კასპაროვი და კრამნიკი კლასიკური ჭადრაკის ბოლო პარტიის გარდა 6 სწრაფსა და 10 ბლიცპარტიას ითამაშებენ.

**დავით გულუა**



კასპაროვი და კრამნიკი პრესკონფერენციაზე



# ამერიკა გაჩირაღდნდა

მაშ ასე. საბერძნეთში ანთებულმა და რიტუალშესრულებულმა ოლიმპიურმა ჩირაღდანმა აშშ-ს ჩაალწია და ჯორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტას მიაკითხა, სადაც მოწიწებით შეეგებნენ. აგერ, ერთ ფოტოზე მას გალიმებული დიდი მოკრივე ევანდერ ჰოლიფილდი მიარბენინებს, მეორეზე ლეგენდარული მუჰამედ ალი ატლანტის ცენტრალურ პარკში ვეება ჭ ცონად აქცევს, მესამედან კი მოციგურავე პეგი ფლემინგი შემოგვცქერის. ჩირაღდნის 46 შტატის გადამკვეთი 21 700 კილომეტრიანი მოგზაურობა სწორედ ფლემინგმა დააწყებინა.





# ო, შანზ ელიზე

ფრანგ ჩოგბურთელთა ნაკრებმა დევისის თასი მოიპოვა და პარიზში, ელისეს მინდვრებზე, პრ-ზიდენტის სასახლეში მიღების პატივი ხვდა წილად. მიღების ბოლოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა სპორტსმენებთან სამახსოვრო ფოტო გადაიღო. რომელზეც ასახულან: ფაბრის სანტორო, სედრიკ პიოლინი, პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბიმე, კაპიტანი გი ფორჟე, ნიკოლა ესკუდე და არნო კლემანი



# ნიუ იორკში ეჯახებიან

ნჰლ-ში ხომ სულ მხიარულებაა. „ფილადელფია ფლაიერზი" „ნიუ იორკ აილენდერზს" სტუმრობდა და მოუგო კიდეც 3:2. ჰოდა, ამ შეხვედრის მესამე პერიოდის ბოლოს ნიუიორკელი ბრენდ ისბისტერი ორი წუთით დაჯარიმდა. მიზეზი ფილადელფიელი ერიკ უეინრიხის სახეზეა.





# ჰიუსტონელი კუტინო ბიჭი

შოუების ქვეყანაა ეს ამერიკა. ნბა და კალათბურთი ხომ თავისთავად შოუა და კიდევ ყოველ კონკრეტულ თამაშს ათასი რამით ალამაზებენ. აი, მაგალითად, რა მოიფიქრეს ჰიუსტონში: მოედანზე გაიყვანეს პატარა ბიჭი, რომელსაც მათი გუნდის ლიდერის, კუტინო მობლის ფორმა ეცვა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge